ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

აკაკი აბუთიძე

აქტიური ტუბერკულოზის დეტერმინანტები, სიკვდილობასთან დაკავშირებული რისკის ფაქტორები და გადარჩენის მაჩვენებლები აივ/შიდსით ავადმყოფებში საქართველოში

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები: თენგიზ ცერცვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის

ინფექციურ დაავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის

დეპარტამენტის

პროფესორი

ლალი შარვაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფექციურ

დაავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის

დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

სარჩევი

გამოყენებული სურათების ჩამონათვალი

გამოყენებული დიაგრამების ჩამონათვალი

გამოყენებული ცხრილების ჩამონათვალი

შესავალი

მსოფლიოში აივ/შიდსის მკურნალობისა და მოვლის დარგში უდიდესი პროგრესის მიუხედავად, ოპორტუნისტული ინფექციები და მათ შორის ტუბერკულოზი კვლავ რჩება აივ/შიდსით ავადმყოფების ავადობის და სიკვდილობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად[1-5]. აივ/შიდსით ავადმყოფების თითქმის მესამედს აღენიშნება ლატენტური ან აქტიური ტუბერკულოზი[6]. 2014 წელს მსოფლიოში აივ/შიდსით გარდაცვლილთა მესამედი კოინფიცირებული იყო ტუბერკულოზით[7]. აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციის პრობლემა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დაბალი და საშუალო შემოსავლების ქვეყნებში, სადაც ტუბერკულოზი აივ/შიდსით ავადმყოფების სიკვდილობის ძირითადი მიზეზია[7-9].

აივ/შიდსი ტუბერკულოზის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რისკის ფაქტორია[10-13]. ტუბერკულოზის მაღალი პრევალენტობის ქვეყნებში ტუბერკულოზით დაავადების რისკი საკმაოდ მაღალია აივ/შიდსით ავადმყოფებში[14]. აღმოსავლეთ ევროპაში სახეზეა ტუბერკულოზის და აივ/შიდსის დამოუკიდებელი ეპიდემიები და ადამიანთა უმეტესობა ტუბერკულოზით ავადდება აივ/შიდსთან დაკავშირებული იმუნოსუპრესიის გარეშე[15]. აღმოსავლეთ ევროპაში აივ/შიდსის შემთხვევების პროგრესული მატება და ტუბერკულოზის მაღალი პრევალენტობა მოსალოდნელს ხდის რეგიონში აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფების რიცხვის დრამატულ ზრდას მომავალ 5 წელიწადში[7].

ტუბერკულოზის სხვადასხვა ფორმების გავრცელების შესწავლა აივ/შიდსით ავადმყოფებში მნიშვნელოვანია აივ/შიდსის პროგრამის გაუმჯობესების თვალსაზრისით. აუცილებელია გარღმავდეს ცოდნა ტუბერკულოზის ეპიდემიოლოგიის, მისი დეტერმინანტების და აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში სიკვდილობასთან დაკავშირებული რისკის ფაქტორების შესახებ.

თემის აქტუალობა

კაცობრიობის არსებობის ხანგრძლივ ისტორიას მრავალი პანდემია და ეპიდემია ახსოვს, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია აივ/შიდსს, რომელმაც აღმოჩენის დღიდან დიდი ყურადღება მიიქცია და მოკლე ხანში გლობალურ პრობლემად იქცა.

მართალია, აივ/შიდსის მკურნალობაში თანამედროვე მიღწევებმა და ეფექტურმა პროფილაქტიკურმა პროგრამებმა განაპირობეს განვითარებულ ქვეყნებში მდგომარეობის სტაბილიზაცია, მაგრამ მთლიანად მსოფლიოში აივ ინფიცირებულთა რიცხვი განუხრელად იზრდება. ამასთან, აივ/შიდსის ახალი შემთხვევების 95% დაბალი და საშუალო შემოსავლების (განვითარებად) ქვეყნებზე მოდის[16].

შიდსის პრობლემის გლობალურ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ აივ/შიდსი ერთადერთი დაავადებაა, რომელსაც 2001 წლიდან პერიოდულად ეძღვნება გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალური სესია. აგრეთვე აღნიშვნის ღირსია, რომ 2000 წელს გაეროს მიერ დამტკიცებული ათასწლეულის განვითარების
8 მიზნიდან ერთ-ერთი აივ/შიდსს ეძღვნება[17].

შიდსი (შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი) ნელა პროგრესირებადი ინფექციური დაავადებაა. მას იწვევს ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ). ვირუსი ადამიანის ორგანიზმში შეჭრის შემდეგ აზიანებს ორგანიზმის იმუნურ სისტემას და მწყობრიდან გამოჰყავს იგი, რის შედეგადაც ინფიცირებულ პირს ადვილად უჩნდება სხვადასხვა ინფექციური და/ან სიმსივნური დაავადება.

თანამედროვე კლასიფიკაციით აივ ინფექცია ეწოდება დაავადებას ვირუსით ინფიცირების მომენტიდან სიცოცხლის ბოლომდე, ხოლო ტერმინით შიდსი აღინიშნება აივ ინფექციის

ბოლო სტადია, როდესაც ავადმყოფს უვითარდება დაავადების კლინიკური ნიშნები და/ან იმუნური სისტემის მძიმე დაზიანება[18].

აივ/შიდსი კლინიკურად პირველად აღწერეს ამერიკის შეერთებულ შტატებში 1981 წელს, როდესაც ზედიზედ იქნა დიაგნოსტირებული იშვიათი დაავადებების – პნევმოცისტური პნევმონიისა და კაპოშის სარკომის რამდენიმე შემთხვევა. ეს დაავადებები მანამდე მხოლოდ იმუნოკომპრომეტირებულ პირებში იყო აღწერილი. 1982 წელს შიდსი აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის (CDC) მიერ ოფიციალურად იქნა რეგისტრირებული როგორც ახალი დაავადება[19].

სადღეისოდ აივ/შიდსის მკურნალობაში უდიდესი პროგრესის მიუხედავად, შიდსი კვლავ რჩება განუკურნებელ დაავადებად, მაგრამ ადრეული დიაგნოსტიკის და მკურნალობის შემთხვევაში მნიშვნელოვნად იზრდება სიცოცხლის ხანგრძლივობა და უმჯობესდება ცხოვრების ხარისხი[20, 21].

აივ/შიდსი მსოფლიოში

გაეროს შიდსის პროგრამის მონაცემებით 2014 წელს მსოფლიოში 36.9 მილიონი აივ/შიდსით ავადმყოფი იყო. ეპიდემიის დაწყებიდან მსოფლიოში გარდაიცვალა დაახლოებით 25 მილიონი აივ/შიდსით ავადმყოფი. ყოველდღიურად აივ-ით ინფიცირდება 6000-მდე ადამიანი[16, 22].

სურათი 1. აივ/შიდსის გავრცელება მსოფლიოში



წყარო: UNAIDS Report on the Global AIDS Epidemic 2015

აივ/შიდსი საქართველოში

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმოს) მიხედვით საქართველო მიეკუთვნება აივ/შიდსის დაბალი გავრცელების ქვეყნებს.

2016 წლის 1 ივლისის მონაცემებით საქართველოში რეგისტრირებულია აივ/შიდსის 5732 შემთხვევა, მათგან 4244 მამაკაცი და 1488 ქალია. შიდსი განუვითარდა 3290 ავადმყოფს და 1127 გარდაიცვალა. აივ/შიდსის შემთხვევების სავარაუდო 7000-ს უტოლდება.უკანასკნელი წლების დინამიკა მიუთითებს, რომ ქვეყანაში აღინიშნება აივ/შიდსის ახალი შემთხვევების ნელი, მაგრამ სტაბილური ზრდა[23].

დიაგრამა 1. აივ/შიდსის ახალი შემთხვევების დინამიკა წლების მიხედვით საქართველოში



ეპიდემიის ზრდის ტენდენციის მიუხედავად საქართველოში აივ/შიდსის ახალი შემთხვევების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელს.

წყარო: ინფექციური პათოლოგიის, შიდსის ცენტრის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრი

დიაგრამა 2. აივ/შიდსის ახალი შემთხვევევების მაჩვენებელი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და საქართველოში



წყარო: WHO/Europe, European HFA Database, April 2014

საქართველოში აივ ინფექციის გადაცემის გზების მიხედვით პირველ ადგილზეა ნარკოტიკების ინექციური მოხმარება - 45,8%, შემდეგ მოდის ჰეტეროსექსუალური კონტაქტი - 43,0%, ჰომოსექსუალური კონტაქტი - 8,3%, ვერტიკალური გზით (დედიდან ბავშვზე) ინფიცირება - 1.6%, აივ ინფიცირებული სისხლის გადასხმა 0.5%, ხოლო 0.8%-ში დაინფიცირების გზა დაუდგენელია.

დიაგრამა 3. აივ/შიდსის რეგისტრირებული შემთხვევების განაწილება გადაცემის გზების



მიხედვით

წყარო: შიდსის ცენტრი

აივ/შიდსის ახლად გამოვლენილ შემთხვევებში ინფექციის გადაცემის გზების განაწილების ყოველწლიური დინამიკა მიუთითებს ნარკოტიკების ინექციური

მომხმარებლების ხვედრითი წილის შემცირებას, სქესობრივი გზით ინფიცირების შემთხვევების მატების ხარჯზე. 2011 წლიდან ჰეტეროსექსუალური გზით გადაცემის შემთხვევები აჭარბებს ნარკოტიკების ინექციური მოხმარებით ინფიცირების შემთხვევების რაოდენობას.

დიაგრამა 4. საქართველოში აივ/შიდსის ნარკოტიკების ინექციური მოხმარებით და ჰეტეროსექსუალური გზით გადაცემის დინამიკა წლების მიხედვით



წყარო: ინფექციური პათოლოგიის, შიდსის ცენტრის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრი

ეროვნული საპასუხო ღონისძიებების განხორციელების სტრუქტურა

თანამედროვე მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში, შიდსთან ბრძოლის საპასუხო ღონისძიებების განხორციელების მიდგომები განისაზღვრა 2001 წლის გაეროს აივ/შიდსთან ბრძოლის დეკლარაციის მიხედვით.

სადღეისოდ საქართველოში ეროვნული საპასუხო ღონისძიებების განხორციელებას უზრუნველყოფს:

- სახელმწიფო პროგრამები

- გლობალური ფონდის პროექტი
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროექტები
- ბილატერალური თანამშრომლობის პროექტები

1994 წელს ამოქმედდა აივ/შიდსის პრევენციის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა მაღალი რისკის ჯგუფების, მათ შორის ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების, მამაკაცების, რომლებსაც აქვთ სქესობრივი კონტაქტი მამაკაცებთან, კომერციული სექს მუშაკების და სხვა მაღალი რისკის ჯგუფის პირთა აივ/შიდსზე გამოკვლევას და ეპიდზედამხედველობას.

1995 წლიდან მუშაობს აივ/შიდსის მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს პაციენტთა ამბულატორიულ და სტაციონარულ მომსახურებას. 1997 წელს შემუშავდა და ამოქმედდა სისხლის და სისხლის პროდუქტების უსაფრთხოების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ყველა გადასასხმელი სისხლის აივ ინფექციაზე, B და C ჰეპატიტებზე და სიფილისზე შემოწმებას. პროგრამის დანერგვამ სისხლის რეციპიენტებში მინიმუმამდე დაიყვანა სისხლის გადასხმის გზით გადამდები ინფექციების შემთხვევები.

ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტების შეფასებით აივ/შიდსის მკურნალობისა და მოვლის საქართველოს მოდელი საუკეთესოა აღმოსავლეთ ევროპაში და ერთ-ერთი საუკეთესო, თუ არა საუკეთესო, დაბალი და საშუალო შემოსავლების ქვეყნებს შორის მსოფლიოს მასშტაბით[24].

დიაგრამა 5. აივ/შიდსის კლინიკურ სერვისებში ჩართულობის კასკადი საქართველოში



აივ ინფიცირებული (სავარაუდო)
გამოვლენილია
ჩართულია კლინიკურ სერვისებში
მუდმივ კლინიკურ მეთვალყურეობაზეა
არვ მკურნალობაზეა
ვირუსი არა-განსაზღვრადია

წყარო: ინფექციური პათოლოგიის, შიდსის ცენტრის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრი

ანტირეტროვირუსული მკურნალობა

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აივ/შიდსის მკურნალობისა და მოვლის სფეროში მიღწეული წარმატებები. საქართველომ ჯერ კიდევ 1995 წლიდან დაიწყო შიდსის მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება, რომლის ფარგლებში 1997 წლიდან დაინერგა იმ დროისთვის უახლესი სამკომპონენტიანი მაღალაქტიური ანტირეტროვირუსული მკურნალობა (ართ).

2004 წლიდან საქართველომ პირველმა და ჯერ–ჯერობით ერთადერთმა აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში უზრუნველყო და შეინარჩუნა ანტირეტროვირუსულ (არვ) მკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობა. რაც ასახულია ჯანმოს და გაეროს შიდსის პროგრამის (UNAIDS–ის) ოფიციალურ დოკუმენტებში[24].

დიაგრამა 6. არვ მკურნალობით მოცვა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში



წყარო: UNAIDS Report on the Global AIDS Epidemic 2013

ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მიღწევა დადებითად აისახა საქართველოში აივ/შიდსის ეპიდემიის დინამიკაზე: მკვეთრად გაიზარდა აივ/შიდსით ავადმყოფების გადარჩენის მაჩვენებელი, სიცოცხლის ხანგრძლივობა და ცხოვრების ხარისხი. არვ მკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შემდეგ
3-ჯერ და მეტჯერ შემცირდა შიდსთან დაკავშირებული სიკვდილობა[25].

2013 წელს საქართველო პირველმა აღმოსავლეთ ევროპაში დაიწყო ჯანმო-ს უახლესი სამკურნალო რეკომენდაციების დანერგვა, რომელიც ითვალისწინებს არვ მკურნალობის დაწყებას დაავადების ადრეულ სტადიაზე (CD4 ლიმფოციტების რიცხვი <500). ეს ინოვაცია ძალიან მნიშვნელოვანია როგორც აივ/შიდსით ავადმყოფების სიცოცხლის გახანგრძლივების, ისე ახალი ინფექციების პრევენციის კუთხითაც. 2015 წლიდან კი საქართველო უზრუნველყოფს ყველა აივ/შიდსით ავადმყოფის არვ მკურნალობას CD4 ლიმფოციტების რაოდენობის დამოუკიდებლად - „მკურნალობა ყველასთვის“.

C ჰეპატიტის მკურნალობა აივ/HCV კოინფექციის მქონე ავადმყოფებში

პირველად აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში 2011 წლიდან საქართველოში ყველა აივ/HCV კოინფექციის მქონე ავადმყოფებისათვის ხელმისაწვდომია C ჰეპატიტის საწინააღმდეგო უფასო მკურნალობა. ეს იყო ქვეყანაში პირველი შემთხვევა, როდესაც მოსახლეობის კონკრეტულმა სეგმენტმა მიიღო C ჰეპატიტის უფასო მკურნალობა[26].

2005 წლიდან გლობალური ფონდის ხელშეწყობით შიდსის სამსახურმა უზრუნველყო დედიდან ბავშვზე აივ/შიდსის გადაცემის პროფილაქტიკის ღონისძიებებზე უნივერსალური ხელმისაწვდომობა. შედეგად მინიმუმადე იქნა დაყვანილი დედიდან ბავშვზე აივ/შიდსის გადაცემის მაჩვენებლები. ეს ღონისძიებები გულისხმობს ყველა ორსული ქალის აივ/შიდსზე გამოკვლევა, აივ ინფიცირებული ორსული ქალების და მათი ახალშობილების პროფილაქტიკური არვ მკურნალობას[27].

შიდსის სამსახურის და ამ სფეროში მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების ეფექტიანი მუშაობისა და ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველომ შეძლო თავიდან აეცილებინა აივ/შიდსის ფართომასშტაბიანი ეპიდემია, მისგან გამომდინარე დიდი ადამიანური მსხვერპლით და ძალიან სერიოზული ეკონომიკური ზარალით[25].

ტუბერკულოზი მსოფლიოში

ტუბერკულოზი ჯერ კიდევ რჩება მსოფლიო ჯანდაცვის სერიოზულ პრობლემად[28-30]. ჯანმოს მონაცემებით მსოფლიოში აქტიური ტუბერკულოზით ყოველწლიურად ავადდება 9 მილიონამდე ადამიანი და იღუპება 2 მილიონზე მეტი. უდიდეს საფრთხეს ქმნის ასევე ტუბერკულოზის არსებული, მაგრამ გამოუვლენელი შემთხვევები, რომლის რიცხვიც 3 მილიონს აღწევს. მხოლოდ 2014 წელს მსოფლიოში გამოვლინდა ტუბერკულოზის 6 მილიონი ახალი შემთხვევა და გარდაიცვალა 1,5 მილიონი ადამიანი (მათ შორის 1.1. მილიონი აივ ნეგატიური და 0,4 მილიონი აივ/შიდსით კოინფიცირებული). ახალი

შემთხვევების მაჩვენებელი ბოლო ათწლეულის განმავლობაში მცირდება ყოველწლიურად 2%-ით, ხოლო სიკვდილობის მაჩვენებელი 1990 წლიდან შემცირდა 42%-ით[7].

2015 წლისათვის ათასწლეული განვითარების ერთ-ერთი მიზანი - „ტუბერკულოზით გამოწვეული სიკვდილობის შემცირება 50%-ით“ მიღწეულ იქნა ჯანმოს ოთხ რეგიონში: ამერიკა, ახლო აღმოსავლეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია და ოკეანეთი[31, 32].

ტუბერკულოზის წამლისადმი რეზისტენტული ფორმების მაღალი გავრცელება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის თვალსაზრისით უდიდეს საფრთხეს ქმნის[33] და დღეისათვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. მულტირეზისტენტობა მნიშვნელოვნად ართულებს ტუბერკულოზის ეპიდემიას, ვინაიდან ასეთ შემთხვევებში საჭიროა უფრო ხანგრძლივი (20-24-თვიანი) მკურნალობის კურსი[12, 34 35].

ტუბერკულოზი საქართველოში

საქართველოში 2014 წელს ყველა ფორმის ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების მაჩვენებელმა 103 შეადგინა 100,000 მოსახლეზე, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ევროპის რეგიონის და ევროკავშირის ქვეყნების მაჩვენებლებს. ტუბერკულოზის ახალი შემთხვევებისა და რეციდივების 1,4% დაფიქსირებულია სასჯელაღასრულების დაწესებულებებში. ყველა ფორმის ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების 76.4% ფილტვის ტუბერკულოზზე მოდიოდა.
სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2014 წელს საქართველოში ტუბერკულოზით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელმა 100,000 მოსახლეზე 3.0 შეადგინა.

ტუბერკულოზის კონტროლისა და შემთხვევათა მართვის შეფასების პარამეტრს ფილტვის ტუბერკულოზის ახალი ბაქტერიაგამომყოფი ფორმების ‘‘წარმატებული მკურნალობის მაჩვენებელი’’ წარმოადგენს.

საქართველოში 2005 წელს ფილტვის ტუბერკულოზის ახალი ბაქტერიაგამომყოფი ფორმების წარმატებული მკურნალობის მაჩვენებელი მხოლოდ 64.1%-ს შეადგენდა, 2014 წელს მაჩვენებელმა 81%-ს მიაღწია (2013 წლის კოჰორტა). ჯანმოს შეფასებითი გათვლებით, საქართველო მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მხრივ ,,მაღალი ტვირთის მქონე'' ქვეყნებს მიეკუთვნება. 2014 წელს ფილტვის ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების 11.6%, ხოლო წარსულში ნამკურნალები შემთხვევების 39.2% მულტირეზისტენტულია.

დიაგრამა 7. ტუბერკულოზის ავადობა 1000 მოსახლეზე საქართველოში



დიაგრამა 8. მულტირეზისტენტული ტუბერკულოზი საქართველოში



წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი

მულტირეზისტენტული ფორმით დაავადებულ ავადმყოფთა შორის მაღალია შეწყვეტილი მკურნალობის სიხშირე . ასევე აღინიშნება რეზისტენტობის ზრდის ტენდენცია ახალ შემთხვევათა შორის , რაც საზოგადოებაში მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის გავრცელების მაღალ რისკზე მიუთითებს.

ლეტალობის მაჩვენებელი, როგორც დაავადების გამოსავალი, ბოლო ათი წლის განმავლობაში 3-4 %-ის ფარგლებში მერყეობს და ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად არ იცვლება[31]. ტუბერკულოზი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ოპორტუნისტული ინფექციაა აივ/შიდსით ავადმყოფებში საქართველოში[36].

C ჰეპატიტი მსოფლიოში და საქართველოში

ქრონიკული C ჰეპატიტი მსოფლიო ჯანდაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. ჯანმოს მონაცემებით მსოფლიოში დაახლოებით 130-150 მილიონი ადამიანია C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებული. ეს პლანეტის მოსახლეობის დაახლოებით 3%-ია. დაავადებას წამყვანი ადგილი უჭირავს ავადობის, სიკვდილობის და შრომისუუნარობის თვალსაზრისით. ყოვეწლიურად
500 000-მდე ადამიანი იღუპება C ჰეპატიტის ფონზე განვითარებული ღვიძლის ტერმინალური დაავადებებით. HCV ინფექცია ღვიძლის ტრანსპლანტაციის ყველაზე ხშირი მიზეზია[37, 38].

C ჰეპატიტი ასევე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს აივ/შიდსით ავადმყოფებში. კერძოდ, აივ ინფიცირებული პაციენტების დაახლოებით 49% კოინფიცირებულია C ჰეპატიტით[39].

აივ/შიდსის და C ჰეპატიტის კოინფექციით ავადმყოფებში გაცილებით მაღალია ღვიძლთან დაკავშირებული ავადობა და სიკვდილობა, ვიდრე მონოინფექციით

ავადმყოფებში. კოინფექციის მქონე პაციენტებში სიკვდილიანობის დაახლოებით 10-15% გამოწვეულია სწორედ ღვიძლის დაავადების შორსწასული შემთხვევებით[40].
აივ/შიდსით ავადმყოფებში C ჰეპატიტი უფრო სწრაფად პროგრესირებს, ვიდრე მონოინფექციით ავადმყოფებში, რადგან აივ ინფექცია აჩქარებს C ჰეპატიტის პროგრესირებას[41]. ცნობილია, რომ აივ/შიდსით ავადმყოფებში ქრონიკული C ჰეპატიტის ფონზე განვითარებული ღვიძლის ტერმინალური დაავადებების განვითარების ალბათობა 3–5-ჯერ უფრო ხშირია, ვიდრე მონოინფექციით ავადმყოფებში. აქედან გამომდინარე, აივ/ შიდსით ავადმყოფებში C ჰეპატიტების მკურნალობას განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება[40, 42, 43].

C ჰეპატიტის პრობლემა ჩვენი ქვეყნისთვისაც ძალზედ მნიშვნელოვანია. საქართველოში 2002 წელს ჩატარებული ეპიდემიოლოგიური კვლევის მიხედვით C ჰეპატიტის პრევალენტობა მოზრდილ მოსახლეობაში 6,7% შეადგენს [44] და საქართველო, ჯანმოს მონაცემებით, C ჰეპატიტის მაღალი პრევალენტობის ქვეყნებს მიეკუთვნება. განსაკუთრებით მაღალია C ჰეპატიტის გავრცელება ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლებში.

ქცევითი ზედამხედველობის კვლევების (Behavioral Surveillance Survey – BSS) მონაცემებით 57-74%-ს შეადგენს (BSS/USAID/GHPP). სხვა რისკ ჯგუფებში მონაცემები შემდეგია – მამაკაცები, რომლებსაც აქვთ სექსი მამაკაცთან – 17,3% (BSS/CIF), ჯანდაცვის მუშაკები–5% (Health Research Union). თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში 2004-2008 წელს ჩატარებული ტესტირების შედეგად გამოვლინდა, რომ ტესტირებულ 2031 პატიმარს შორის 52% იყო HCV დადებითი.

C ჰეპატიტის პრობლემურობას ისიც განაპირობებს,რომ ამ დაავადებასთან საბრძოლველად დღეს მედიცინას არ გააჩნია საპროფილაქტიკო საშუალებები, როგორიცაა ვაქცინა და/ან სპეციფიკური იმუნოგლობულინი. დაავადებასთან ბრძოლის

ერთადერთი საშუალება ანტივირუსული მკურნალობაა, რაც ამავე დროს გარკვეული თვალსაზრისით დაავადების პრევენციაცაა.

ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე C ჰეპატიტის მკურნალობის ერთადერთ ეფექტურ საშუალებად ინტერფერონის და რიბავირინის კომბინაცია ითვლებოდა.
2011 წლიდან C ჰეპატიტის მკურნალობის დარგში დიდი, შეიძლება ითქვას - რევულუციური ცვლილებები და წარმატებებია მიღწეული. გამოჩნდა ახალი მედიკამენტები, ე,წ, პირდაპირი ანიტივირუსული მოქმედების (DAA) მედიკამენტები, რომლებმაც დრამატულად გაზარდეს HCV ინფექციის მკურნალობის ეფექტურობა[45]. ახალი მედიკამენტების შექმნასთან ერთად მრავალფეროვანი გახდა C ჰეპატიტის მკურნალობის რეჟიმები და სქემებიც. ინტერფერონის შემცველი რეჟიმების გვერდით გაჩნდა C ჰეპატიტის სამკურნალო ე.წ. უინტერფერონო (ინტერფერონისგან თავისუფალი) რეჟიმები.

ანტირეტროვირუსული თერაპიის ეპოქაში აივ/შიდსით ავადმყოფებში გაიზარდა ღვიძლის ქრონიკული დაავადებების გავრცელება. ეს დაავადებები აივ/შიდსით ავადმყოფების სიკვდილობის ერთ-ერთ წამყვან მიზეზს წარმოადგენს [5, 46-48].
ართ-ს მიუხედავად მონოინფიცირებულ ავადმყოფებთან შედარებით აივ/შიდსის და C ჰეპატიტის კოინფექციით ავადმყოფებში უფრო მაღალია ღვიძლის ქრონიკული დაავადებების გართულებების (ღვიძლის ციროზი, ჰეპატოცელულური კარცინომა, ღვიძლის უკმარისობა) რისკი[49].

ქრონიკული C ჰეპატიტის წარმატებული მკურნალობა აივ/შიდსის და C ჰეპატიტის კოინფექციით ავადმყოფების სიცოცხლის გახანგრძივების და სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესების საწინადარია. თუმცა, C ჰეპატიტის ანტივირუსული მკურნალობა პრობლემატურია, დაკავშირებულია არაერთ სერიოზულ გვერდით მოვლენასთან. აქვე უნდა აღინიშნოს წამალთაშორისი დამოკიდებულება C ჰეპატიტის ანტივირუსულ

მედიკამენტებსა და არვ საშუალებებს შორის, რაც საბოლოო ჯამში ნეგატიურად აისახება ავადმყოფთა გადარჩენის მაჩვენებლებზე[50, 51].

HCV ინფექციის მკურნალობის ძირითადი მიზანია C ჰეპატიტის განკურნების მაღალი მაჩვენებლის მიღწევა, რაც გამოიხატება სისხლში არაგანსაზღვრადი HCV რნმ-ით ანტივირუსული მკურნალობის დასრულებიდან 12-24 კვირის თავზე (მყარი ვირუსული პასუხი). ახალი პირდაპირი მოქმედების ანტივირუსული მედიკამენტების ხელმისაწვდომობამდე HCV ინფექციის მკურნალობის სტანდარტულ მკურნალობას წარმოადგენდა პეგილირებული ინტერფერონის და რიბავირინის კომბინაცია. აღნიშნული კომბინაციით ეფექტურობა მიიღწეოდა ავადმყოფთა 50-55%-ში და დაკავშირებული იყო არაერთ გვერდითი მოვლენასთან[52, 53], კერძოდ აივ/შიდსით ავადმყოფებში პეგილირებული ინტერფერონით მკურნალობის პროცესში განვითარებული ჰემატოლოგიური დარღვევები, მათ შორის მძიმე ლეიკოპენია ხშირად აქვეითებს $CD4^+$ ლიმფოციტების რაოდენობის [54-56].

ასევე არაერთმა კვლევამ დაადასტურა ქრონიკული C ჰეპატიტით ავადმყოფებში პეგილირებული ინტერფერონით მკურნალობის პროცესში ბაქტერიული ინფექციების მომატებული რისკი [56-58].

მიუხედავად იმისა, რომ უჯრედული იმუნოდეფიციტი დაკავშირებულია სხვადასხვა ინფექციის მაღალ ინციდენტობასთან, C ჰეპატიტით ავადმყოფებში პეგილირებული ინტერფერონით და რიბავირინით ანტივირუსული მკურნალობის პროცესში ტუბერკულოზის განვითარების სიხშირე მაღალი არ არის [59].

კვლევის მიზანი და ამოცანები

შეზღუდული რესურსების მქონე ქვეყნებში აივ/შიდსით ავადმყოფებს შორის აქტიური ტუბერკულოზის განვითარების მიზეზების შესახებ ინფორმაცია მწირია. აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში აქტიური ტუბერკულოზის დეტერმინანტები, ართ-ს დროს ტუბერკულოზის ინციდენტობა, სიკვდილობასთან დაკავშირებული რისკის ფაქტორები და გადარჩენის მაჩვენებლები საქართველოში აქამდე შესწავლილი არ ყოფილა.

ძირითადი ამოცანები

1. სოციო-დემოგრაფიული, კლინიკური და ლაბორატორიული მახასიათებლების შესწავლა აივ/შიდსით ავადმყოფებში საქართველოში
2. აქტიური ტუბერკულოზის დეტერმინანტების შესწავლა აივ/შიდსით ავადმყოფებში
3. აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში სიკვდილობასთან დაკავშირებული რისკის ფაქტორების განსაზღვრა
4. ტუბერკულოზის ინციდენტობის დადგენა ართ-ზე მყოფ ავადმყოფებში
5. აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში ართ-ს დაწყებასა და სიკვდილობას შორის კორელაციის დადგენა
6. აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში გადარჩენის მაჩვენებლების შესწავლა.
7. აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში ტუბერკულოზის დიაგნოზის დასმის შემდეგ ართ-ს დაწყების ოპტიმალური დროის განსაზღვრა.
8. პეგილირებული ინტერფერონით და რიბავირინით C ჰეპატიტის მკურნალობაზე მყოფ აივ/შიდსის და C ჰეპატიტის კოინფექციით ავადმყოფებში ტუბერკულოზის შემთხვევების მახასიათებლების და კლინიკური გამოსავლების შესწავლა და ტუბერკულოზის ინციდენტობის დადგენა.

სიახლე და პრაქტიკული ღირებულება

აღნიშნული კვლევა მნიშვნელოვანია საქართველოს მასშტაბით აივ/შიდსით ავადმყოფებში ტუბერკულოზის დეტერმინანტების და კოინფექციით გამოწვეული სიკვდილობის შეფასების თვალსაზრისით.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები, დასკვნები და რეკომენდაციები მოპოვებულია პირველად საქართველოში. კერძოდ პირველად ჩვენს ქვეყანაში შესწავლილ იქნა აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში სოციო-დემოგრაფიული, კლინიკური და ლაბორატორიული მახასიათებლები; აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში განისაზღვრა აქტიური ტუბერკულოზის დეტერმინანტები და შეფასდა სიკვდილობასთან დაკავშირებული რისკის ფაქტორები; დადგინდა კორელაცია ართ-ს დაწყებასა და სიკვდილობას შორის; შესწავლილ იქნა გადარჩენის მაჩვენებლები ართ-ზე მყოფ და ართ არა ნამკურნალებ აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში და ასევე განისაზღვრა ტუბერკულოზის დიაგნოზის დასმის შემდეგ ართ-ს დაწყების ოპტიმალური დრო. მნიშვნელოვანი იყო პეგილირებული ინტერფერონით და რიბავირინით C ჰეპატიტის მკურნალობაზე მყოფ აივ/შიდსის და C ჰეპატიტის კოინფექციით ავადმყოფებში ტუბერკულოზის შემთხვევების მახასიათებლების და კლინიკური გამოსავლების შესწავლა და ტუბერკულოზის ინციდენტობის დადგენა.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების და დასკვნების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა განხორციელება კიდევ უფრო შეამცირებს აივ/შიდსით ავადმყოფებში ტუბერკულოზით ავადობის და სიკვდილობის მაჩვენებლებს და შესაბამისად პროგრამულ და კლინიკურ გამოსავლებს. აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციის მაღალი ტვირთის გათვალისწინებით ამ რეკომენდაციების განხორციელება მნიშვნელოვანია აივ/შიდსის და ტუბერკულოზის ეპიდემიებზე ზეგავლენის მოხდენის თვალსაზრისითაც.

მასალა და მეთოდები

კვლევის დიზანი და პოპულაცია

აივ/შიდსით ავადმყოფებში აქტიური ტუბერკულოზის დეტერმინანტების, სიკვდილობასთან დაკავშირებული რისკის ფაქტორების და გადარჩენის მაჩვენებლების შესწავლის მიზნით შეირჩა კვლევის რეტროსპექტული კოჰორტული დიზაინი. კვლევაში ჩართული იქნა ***2008 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 30 ივნისამდე*** ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში (შემდგომში მოხსენიებული იქნება როგორც შიდსის ცენტრი) აღრიცხვაზე მყოფი აივ/შიდსით ავადმყოფები.

კვლევაში ჩასართავად დამუშავდა ყველა იმ პაციენტის ისტორია, რომელსაც 2008 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 30 ივნისამდე შიდსის ცენტრში დაუდგინდა აივ/შიდსის დიაგნოზი (დადებითი anti-HIVAb დადასტურებული დადებითი იმუნობლოტინგით და პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციით).

ავადმყოფთა დემოგრაფიული (სქესი, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, განათლების დონე, დასაქმების სტატუსი, საცხოვრებელი ადგილი), კლინიკური (ოპორტუნისტული ინფექციები, HBV, HCV და HDV კოინფექციები, ღვიძლის ციროზი, შაქრიანი დიაბეტი, ნეფროპათია), ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევების (CD4 ლიმფოციტები, აივ ვირუსული დატვირთვა, ჰემოგლობინი) შედეგების შესახებ ინფორმაცია ამოღებულ იქნა ავადმყოფობის ისტორიებიდან. ასევე შეგროვდა მონაცემები პაციენტების მავნე ჩვევების (თამბაქოს, ალკოჰოლის და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება), წარსულში გადატანილი ტუბერკულოზის, პატიმრობაში ყოფნის, აივ/შიდსის გადაცემის გზის, ტუბერკულოზის ფორმის (ფილტვის და ფილტვგარეშე), ანტიტუბერკულოზური

მედიკამენტებისადმი მგრძნობელობის/რეზისტენტობის პროფილის და ართ-ს დაწყების დროის და ართ რეჟიმების შესახებ.
კვლევაში ჩართული აივ/შიდსით ავადმყოფები დავყავით ორ ჯგუფად: ართ-ზე მყოფი ავადმყოფები და არანამკურნალები ავადმყოფები. ***დაკვირვების პერიოდი განისაზღვრა 2011 წლის 31 ივინისამდე.***

პეგილირებული ინტერფერონით და რიბავირინით C ჰეპატიტის მკურნალობაზე მყოფ აივ/შიდსის და C ჰეპატიტის კოინფექციით ავადმყოფებში ტუბერკულოზის შემთხვევების მახასიათებლების და კლინიკური გამოსავლების შესწავლის და ტუბერკულოზის ინციდენტობის დადგენის მიზნით კვლევაში ასევე რეტროსპექტულად შესწავლილ იქნა 2011 წლის 1 დეკემბრიდან 2015 წლის 31 მაისის ჩათვლით აივ/შიდსის და C ჰეპატიტის კოინფექციით ავადმყოფთა კოჰორტა, რომლებსაც ჩაუტარდათ C ჰეპატიტის ანტივირუსული მკურნალობა პეგილირებული ინტერფერონით და რიბავირინის კომბინაციით.

აივ/შიდსის ლაბორატორიული კვლევა

აივ ანტისხეულების განსაზღვრა ხორციელდებოდა იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდით (მესამე და მეოთხე გენერაციის ELISA). დიაგნოზის დასადასტურებლად გამოიყენებოდა იმუნობლოტინგის (Western Blot Assay) და პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის (Amplicor HIV-1 Monitor test, version 1.5, Hoffmann-La-Roche, Inc.). მეთოდები. CD4 ლიმფოციტების განსაზღვრა ხდებოდა იმუნოფენოტიპირების მეთოდით აპარატის FACS Calibur flow cytometer (Becton-Dickinson, USA) გამოყენებით. არვ მედიკამენტებისადმი აივ მგრძნობელობის განსაზღვრისთვის გამოყენებულ იქნა TRUGENE HIV-1 გენოტიპირების მეთოდი (OpenGene DNA Sequencing System (Siemens).

HCV რნმ-ის რაოდენობრივი განსაზღვრა

სისხლში HCV რნმ-ის რაოდენობრივი განისაზღვრა მაღალმგრძნობიარე (რეალური დროის) პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის მეთოდის - COBAS® TaqMan HCV Test, v.2 (Roche, ბაზელი, შვეიცარია) გამოყენებით. ამ მეთოდით HCV რნმ-ის რაოდენობის დათვლის ქვედა ზღვარია 25 IU/ მლ, ხოლო დეტექციის ქვედა ზღვარი 8 IU/ მლ.

HCV გენოტიპირება

HCV გენოტიპის დასადგენად სტანდარტულად გამოიყენება C ჰეპატიტის სტრუქტურული გენების ფრაგმენტები Versant HCV Genotype v2.0 LiPA კომპლექტის მეშვეობით. ამ კომპლექტის შემადგენლობაში არსებული პრაიმერები HCV გენოტიპების დასადგენად იყენებს სტრუქტურული გენის რეგიონებს, კერძოდ, 240 ნუკლეოტიდის ზომის 5' არატრანსლირებად (5'UTR) და 270 ნუკლეოტიდის ზომის ბირთვის (Core) უბნებს, რომელთა ამპლიფიკაციის შემდეგ მიღებული ამპლიკონები სპეციალურ ნიტროცელოლოზას სტრიპებს უკავშირდება, რაც განაპირობებს თითოეული გენოტიპისათვის უნიკალურ შესახედაობას სტრიპის სიგრძეზე. გენოტიპების ინტერპრეტაცია ხდება მწარმოებლის ფორმულებზე დაყრდნობით[60].

HCV რნმ-ის საკვლევი ნიმუშებიდან გამოყოფისათვის გამოიყენება 0.5 მლ სისხლის პლაზმა, რომელიც მუშავდება დნმ -ის და რნმ -ის გამოსაყოფი კომლექტის High Pure Viral Nucleic Acid Kit (Roche, ბაზელი, შვეიცარია) საშუალებით. საკვლევი ნიმუშიდან გამოყოფილი გენეტიკური მასალის (რნმ)-ის ამპლიფიკაციისათვის გამოიყენება თერმოციკლერი GeneAmp PCR system 9700-ში (Applied Biosystems, ფოსტერ სითი, კალიფორნია, აშშ). HCV გენოტიპის და სუბტიპის დეტექციის ეტაპისათვის გამოიყენება ავტომატური სისტემა Auto-Lipa 48 (Innogenetics, ბელგია). აღნიშნული მეთოდი იძლევა C ჰეპატიტის ექვსივე გენოტიპისა და მათი სუბტიპების იდენტიფიცირების საშუალებას.

დეფინიციები

აივ/შიდსის კლინიკური სერვისებში ჩართულობასთან დაკავშირებული დეფინიციები

- აივ ინფიცირებული: აივ ინფიცირებული პირების სავარაუდო რიცხვი

- აივ გამოვლენილი: აივ ინფიცირებული პირი, რომელსაც დაესვა აივ/შიდსის დიაგნოზი არსებული პროტოკოლის მიხედვით (დადებითი აივ ტესტი, რომელიც დადასტურდა იმუნობლოტინგის ან პოლიმერაზული ჯაჭური რეაქციის მეთოდით)
- კლინიკურ სერვისებში ჩართული:აივ ინიფიცირებული პირი, რომელსაც ჰქონდა მინიმუმ 1 დოკუმენტირებული კლინიკური ვიზიტი (CD4+ უჯრედების მაჩვენებელის ან ვირუსული დატვირთვის განსაზღვრა) აივ ინფექცია/შიდსის გამოვლენის შემდგომ
- მუდმივ კლინიკურ მეთვალყურეობაზე: აივ ინფიცირებული პირი, რომელსაც ჰქონდა მინიმუმ 1 დოკუმენტირებული კლინიკური ვიზიტი (CD4+ უჯრედების მაჩვენებელის ან ვირუსული დატვირთვის განსაზღვრა) კვლევის დასრულებამდე 12 თვის ფარგლებში
- ესაჭიროება არვ მკურნალობა: აივ ინფიცირებული პირი, რომელსაც აქვს CD4+ უჯრედების მაჩვენებელი <350 უჯრედი/მმ^3 ან სახეზეა შიდს-ინდიკატორული დაავადება
- ვირუსული სუპრესია:აივ ინფიცირებული პირის პლაზმაში აივ რნმ-ის კონცენტრაცია <400 ასლი/მლ.

ტუბერკულოზის შემთხვევის განმარტება

- ტუბერკულოზის სავარაუდო შემთხვევა - პაციენტი, რომელსაც აქვს ტუბერკულოზზე სავარაუდო სიმპტომები ან ნიშნები
- ტუბერკულოზის ბაქტერიოლოგიურად დადასტურებული შემთხვევა - პაციენტი, რომლის ბიოლოგიური მასალა დადებითია ნაცხის მიკროსკოპიით, კულტურით ან ჯანმოს მიერ მოწოდებული დიაგნოსტიკის სწრაფი ტესტით (მაგ., როგორიცაა Xpert MTB/RIF).
- ტუბერკულოზის კლინიკურად დიაგნოსტირებული შემთხვევა - პაციენტი, რომელსაც ტუბერკულოზი ბაქტერიოლოგიურად არ დაუდასტურდა, მაგრამ კლინიცისტის გადაწყვეტილებით დაესვა აქტიური ტუბერკულოზის დიაგნოზი და დაენიშნა ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობის სრული კურსი. ეს განმარტება

შეესაბამება შემთხვევებს, რომელთა დიაგნოსტირება მოხდა ტუბერკულოზზე საეჭვო რენტგენოლოგიური ან ჰისტოლოგიური და/ან მორფოლოგიური ცვლილებების საფუძველზე, ასევე - ლაბორატორიულად დაუდასტურებელ ფილტვგარეშე შემთხვევებს. კლინიკურად დიაგნოსტირებული ტუბერკულოზის შემთხვევა, რომელთანაც შემდგომ (ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობის დაწყებამდე ან მის შემდეგ) მოხდება დიაგნოზის ბაქტერიოლოგიური დადასტურება, უნდა რეკლასიფიცირდეს როგორც ბაქტერიოლოგიურად დადასტურებული ტუბერკულოზის შემთხვევა.

კლასიფიკაცია დაავადების ანატომიური ლოკალიზაციის მიხედვით

- ფილტვის ტუბერკულოზი - ბაქტერიოლოგიურად დადასტურებული ან კლინიკურად დიაგნოსტირებული შემთხვევა, რომლის დროსაც სპეციფიკური პათოლოგია მოიცავს ფილტვის პარენქიმას ან ტრაქეობრონქულ ხეს. შემთხვევა, როდესაც ფიქსირდება როგორც ფილტვის, ისე ფილტვგარეშე ტუბერკულოზი, უნდა განისაზღვროს როგორც ფილტვის ტუბერკულოზის შემთხვევა.
- ფილტვგარეშე ტუბერკულოზი - ბაქტერიოლოგიურად დადასტურებული ან კლინიკურად დიაგნოსტირებული შემთხვევა, რომლის დროსაც სპეციფიკური პათოლოგია მოიცავს ნებისმიერ ორგანოს ფილტვის დაუზიანებლად, მაგ., პლევრას, ლიმფურ კვანძებს, მუცლის ღრუს ორგანოებს, გენიტალურ ტრაქტს, კანს, ძვლებსა და სახსრებს, ტვინის გარსებს.

კლასიფიკაცია ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტების მიმართ რეზისტენტობის მიხედვით

ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტების მიმართ შტამის რეზისტენტობის მიხედვით შემთხვევათა კლასიფიცირება ხდება კლინიკური იზოლატიდან M. tuberculosis-ის გამოყოფის და მასზე ჩატარებული მედიკამენტების მიმართ მგრძნობელობის ტესტის (DST) შედეგების საფუძველზე.

- მონორეზისტენტობა - მხოლოდ რომელიმე ერთი I რიგის ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტის მიმართ რეზისტენტობა;
- პოლირეზისტენტობა - ერთზე მეტი I რიგის ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტის, მაგრამ არა ერთდროულად იზონიაზიდისა და რიფამპიცინის მიმართ რეზისტენტობა.
- მულტირეზისტენტობა - რეზისტენტობა, სულ მცირე, იზონიაზიდისა და რიფამპიცინის მიმართ.
- ზემდგრადი რეზისტენტობა - ნებისმიერი ფთორქინოლონისა და მეორე რიგის, სულ მცირე, ერთი საინექციო მედიკამენტის (კაპრეომიცინის, კანამიცინის ან ამიკაცინის) მიმართ რეზისტენტობა მულტირეზისტენტობასთან ერთად.

ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების მკურნალობის გამოსავლები

- განკურნება - ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტს მკურნალობის დაწყებამდე ტუბერკულოზი ბაქტერიოლოგიურად დაუდასტურდა და მკურნალობის ბოლო თვეს და, სულ მცირე, ერთი წინა გამოკვლევით ნაცხი ან კულტურა უარყოფითია.
- დასრულებული მკურნალობა - ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტის მკურნალობა დასრულდა უშედეგობის მტკიცებულების გარეშე, მაგრამ მკურნალობის ბოლო თვეს და, სულ მცირე, ერთი წინა გამოკვლევით ნახველის ნაცხის ან კულტურის უარყოფითი შედეგის შესახებ ჩანაწერი არ არსებობს იმ მიზეზით, რომ გამოკვლევა არ ჩატარებულა ან შედეგი ცნობილი არ არის.
- უშედეგო მკურნალობა - ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტის ნახველის ნაცხი ან კულტურა დადებითია მკურნალობის მიმდინარეობის მეხუთე თვეს ან მოგვიანებით.
- მოკვდა - ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტი ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობის დაწყებამდე ან მკურნალობის მიმდინარეობისას ნებისმიერი მიზეზით გარდაიცვალა.

- მეთვალყურეობიდან დაკარგვა - ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტს ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობა არ დაუწყია ან მკურნალობა შეწყვიტა ზედიზედ 2 ან მეტი თვით.
- შეუფასებელი - ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტს ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობის გამოსავალი მინიჭებული არ აქვს. ეს მოიცავს სხვა ქვეყნის სამკურნალო ერთეულში გადასულ პაციენტებს და შემთხვევებს, როცა მკურნალობის გამოსავალი რეგისტრაციის მოცემული სისტემისთვის უცნობია.
- წარმატებული მკურნალობა - განკურნებისა და დასრულებული მკურნალობის ჯამი

სტატისტიკური ანალიზი

კატეგორიული ცვლადები წარმოდგენილია რაოდენობის (პროცენტი) სახით, ხოლო რაოდენობრივი ცვლადები - მედიანის (კვარტილთაშორისი ინტერვალი) სახით. კატეგორიული ცვლადების შესადარებლად გამოყენებულ იქნა χ^2 ან ფიშერის (Fisher) ზუსტი ტესტი საჭიროებისამებრ[61]. რაოდენობრივი ცვლადები შედარდა t-ტესტის გამოყენებით. ყველა P სიდიდე იყო ორმხრივი და მნიშვნელოვნების დონე იყო დაყენებული 0.05-ზე.

ავადმყოფებზე დაკვირვების პერიოდად განისაზღვრა დროის შუალედი ართ-ს დაწყებიდან კვლევის დასრულებამდე, ავადმყოფის სიკვდილამდე, კვლევიდან გამოთიშვამდე ან აქტიური ტუბერკულოზის განვითარებამდე. თავისუფალი ცვლადები, რომლებიც ბივარიაციულ ანალიზში ($P<0.2$ სიდიდის დონეზე) სარწმუნოდ კორელირებდნენ გამოსავლებთან (აქტიური ტუბერკულოზი და სიკვდილობა), შეყვანილ იქნა მულტივარიაციული ლოჯისტიკური რეგრესიის ანალიზის მოდელში[62].

კვლევის მთლიანი კოჰორტის, მათ შორის აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფების გადარჩენის მაჩვენებლები შეფასდა კაპლან-მეიერის მეთოდით. დაკვირვების პერიოდში გადარჩენის პერიოდი (თვეები) განისაზღვრა, როგორც დროის შუალედი ავადმყოფის კვლევაში ჩართვის თარიღსა (აივ/შიდსით ავადმყოფების

მთლიანი კოჰორტისთვის) ან ტუბერკულოზის დიაგნოზის თარიღსა (აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებისათვის) და კვლევის ერთ-ერთ გამოსავალს შორის: სიკვდილის თარიღი, კვლევიდან გამოთიშვის თარიღი ან კვლევის დასრულების თარიღი.

სიკვდილობასთან დაკავშირებული რისკის ფაქტორების განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნა კოქსის (Cox) მულტივარიაციული რეგრესიის მოდელი[63]. სტატისტიკური ანალიზისათვის გამოყენებულ იქნა პროგრამა SAS 9.2.

შედეგები

სოციო-დემოგრაფიული, კლინიკური და ლაბორატორიული მახასიათებლები აივ/შიდსით ავადმყოფებში

კვლევაში ჩართული იქნა 2008 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 30 ივნისამდე შიდსის ცენტრში რეგისტრირებული 410 აივ/შიდსით ავადმყოფი. 2008 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 30 ივნისამდე (კვლევის დასრულების თარიღი) ართ ჩაუტარდა 271 აივ/შიდსით ავადმყოფს. 410 აივ/შიდსით ავადმყოფის ასაკის მედიანა შეადგენდა 40.1 წელს; 289 (70,5%) იყო მამაკაცი; 350 (85,4%) ავადმყოფი იყო საშუალო განათლების მქონე. პირველი კლინიკური ვიზიტის დროს ტუბერკულოზის დიაგნოზი დაისვა **110 (26,8%) ავადმყოფში**, მათ შორის 90 (82%) შემთხვევაში - ფილტვის ტუბერკულოზი, 20 (18%) შემთხვევაში - ფილტვგარეშე ტუბერკულოზი. 4 შემთხვევაში დაფიქსირდა ფილტვის და ფილტვგარეშე ტუბერკულოზი ერთად.

ფილტვის ტუბერკულოზის 90 შემთხვევიდან 70 (64,2%) ავადმყოფში ტუბერკულოზის დიაგნოზი დადასტურდა ნახველის მიკროსკოპული და კულტურალური გამოკვლევით. მულტირეზისტენტული ტუბერკულოზი ნანახი იქნა 11 (10,2%) ავადმყოფში. წარსულში გადატანილი ტუბერკულოზი დაფიქსირდა 49 აივ/შიდსით ავადმყოფში. აივ/შიდსით ავადმყოფების მთლიანი კოჰორტის დაკვირკვების პერიოდის მედიანამ შეადგინა 26,5 თვე.

ართ რეჟიმების განაწილება იყო შემდეგი: 2 ნუკლეოზიდის შებრუნებითი [რევერს] ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორი (ნრტი) + არა-ნუკლეოზიდის შებრუნებითი [რევერს] ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორი (ანრტი) 259 (95.2%) შემთხვევაში და
2 ნრტი + პროტეაზას ინჰიბიტორი (პი) - 13 (4.8%) **შემთხვევაში. CD4 ლიმფოციტების მედიანა** (კვარტილთაშორისი ინტერვალი) შეადგენდა **219,5 უჯრედი/მმ³** (95.5-445.0

უჯრედი/მმ^3), ხოლო პლაზმაში აივ კონცენტრაციის (აივ ვირუსული დატვირთვა) მედიანა (კვარტილთაშორისი ინტერვალი)- 105459.5 ასლი/მმ^3 (22100-384000 ასლი/მმ^3). **აღსანიშნავია, რომ ავადმყოფთა 48,3%-ს აივ/შიდსის დიაგნოზის დასმის მომენტში უკვე აღენიშნებოდათ შორსწასული აივ ინფექცია** (CD4 ლიმფოციტების საშუალო მაჩვენებელი 200 უჯრედი/მმ^3-ზე ნაკლები).

პირველ კლინიკურ ვიზიტსა და ართ-ს დაწყებას შორის დროის მედიანა ართ-ზე მყოფ 271 აივ/შიდსით ავადმყოფში შეადგენდა 1 თვეს (კვარტილთაშორისი ინტერვალი: 0,4-9,6 თვე). იმ ავადმყოფებში, რომელთა CD4 ლიმფოციტების საშუალო მაჩვენებელი იყო 200 უჯრედი/მმ^3-ზე ნაკლები, ართ დაინიშნა უფრო მალე, ვიდრე მაღალი CD4 ლიმფოციტების მქონე ავადმყოფებში (1.7 თვე და 10.9 თვე, $P<0.0001$).

აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებს CD4 ლიმფოციტების მედიანა ტუბერკულოზის არმქონე ავადმყოფებთან შედარებით ჰქონდათ გაცილებით უფრო დაბალი (88 უჯრედი/მმ^3 vs. 295 უჯრედი/მმ^3, $P<0.0001$). უფრო მეტიც, **აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებს აღენიშნებოდათ ღრმა იმუნოსუპრესია** (CD4 ლიმფოციტების მაჩვენებელი 50-ზე ნაკლები) ტუბერკულოზის არმქონე ავადმყოფებთან შედარებით (33.4% vs. 12.7%, $P<0.0001$).

აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში უფრო **ხშირი იყო C ჰეპატიტის კოინფექცია, ღვიძლის ციროზი და ოპორტუნისტული დაავადებები** ($P=0.0011$, 0.0055 და 0.0105 შესაბამისად). ასევე კოინფიცირებული ავადმყოფები გამოირჩეოდნენ წარსულში გადატანილი ტუბერკულოზის მაღალი სიხშირით (30% vs. 5,3%, $P<0.0001$).

აივ/შიდსით ავადმყოფების სოციო-დემოგრაფიული, კლინიკური და ლაბორატორიული მახასიათებლები ტუბერკულოზის კოინფექციით არსებობის მიხედვით მოცემულია ***ცხრილში 1.***

ცხრილი 1. აივ/შიდსით ავადმყოფების სოციო-დემოგრაფიული, კლინიკური და ლაბორატორიული მახასიათებლები ტუბერკულოზის კოინფექციით არსებობის მიხედვით (n=410)

რისკ ფაქტორი	**ტუბერკულოზი დადებითი (n=110)**	**ტუბერკულოზი უარყოფითი (n=300)**	**სულ (n=410)**	**P სიდიდე**
რაოდენობრივი ცვლადი				
ასაკი (წლები)				
მედიანა (კვარტილთაშორისი ინტერვალი)	42.1 [37.3-48.1]	39.1[33.1-45.1]	40.1[35.0-46.1]	0.0007
CD4 უჯრედების რაოდენობა პირველი ვიზიტისას				
მედიანა (კვარტილთაშორისი ინტერვალი)	88 [47-200]	295[146-502]	219.5 [95.5-445.0]	<0.0001
აივ ვირუსული დატვირთვა პირველი ვიზიტისას				
მედიანა (კვარტილთაშორისი ინტერვალი)	310227 [47159-738000]	86142 [16200-290000]	105459.5 [22100-384000]	0.0002
ჰემოგლობინის მაჩვენებელი პირველი ვიზიტისას				
მედიანა (კვარტილთაშორისი ინტერვალი)	111 [91-127]	125 [108-140]	122 [102-138]	<0.0001
დაკვირვების პერიოდი				
მედიანა (კვარტილთაშორისი ინტერვალი)	22.5 [3.4-30.9]	27.6 [17.7-34.0]	26.5 [11.6-33.1]	<0.0001
კატეგორიული ცვლადები **რაოდენობა (%)**				
ასაკი				
>40 წ.	35 (31.8)	158 (52.7)	193 (47.1)	0.0002
<=40 წ.	75 (68.2)	142 (47.3)	217 (52.9)	
CD4 უჯრედების რაოდენობა პირველი კლინიკური ვიზიტისას				

რისკ ფაქტორი	ტუბერკულოზი დადებითი (n=110)	ტუბერკულოზი უარყოფითი (n=300)	სულ (n=410)	P სიდიდე
<50 უჯრედი/მმ^3	37 (33.4)	38 (12.7)	75 (18.3)	<0.0001
50-199 უჯრედი/მმ^3	47 (42.7)	76 (25.3)	123 (30.0)	
200-350 უჯრედი/მმ^3	16 (14.5)	66 (22.0)	82 (20.0)	
>350 უჯრედი/მმ^3	10 (9.1)	120 (40.0)	130 (31.7)	
აივ ვირუსული დატვირთვა პირველი კლინიკური ვიზიტისას				
>= 100,000 ასლი/მლ	68 (71.6)	130 (45.9)	198 (52.4)	<0.0001
<100,000 ასლი/მლ	27 (28.4)	153 (54.1)	180 (47.6)	
ჰემოგლობინის მაჩვენებელი პირველი კლინიკური ვიზიტისას				
<120 გ/ლ	61 (61.6)	114 (40.0)	175 (45.6)	0.0002
>=120 გ/ლ	38 (38.4)	171 (60.0)	209 (54.4)	
სქესი				
მამაკაცი	90 (81.8)	199 (66.3)	289 (70.5)	0.0023
ქალი	20 (18.2)	101 (33.7)	121 (29.5)	
ოჯახური მდგომარეობა				
დაოჯახებული	76 (69.1)	220 (73.3)	296 (72.2)	0.3962
დასაოჯახებელი	34 (30.9)	80 (26.7)	114 (27.8)	
განათლება				
არასრული საშუალო განათლება	45 (40.9)	98 (32.7)	143 (34.9)	0.1212
საშუალო და უმაღლესი განათლება	65 (59.1)	202 (67.3)	267 (65.1)	

რისკ ფაქტორი	ტუბერკულოზი დადებითი (n=110)	ტუბერკულოზი უარყოფითი (n=300)	სულ (n=410)	P სიდიდე
დასაქმების სტატუსი				
უმუშევარი	103 (93.6)	278 (92.7)	381 (92.9)	0.7347
დასაქმებული	7 (6.4)	22 (7.3)	29 (7.1)	
საცხოვრებელი ადგილი				
არაურბანული	67 (60.9)	150 (50.0)	217 (52.9)	0.0502
ურბანული	43 (39.1)	150 (50.0)	192 (47.1)	
თამბაქოს მოხმარება				
კი	74 (67.3)	168 (56.0)	168 (40.9)	0.04
არა	36 (32.7)	132 (44.0)	242 (59.1)	
ალკოჰოლის მოხმარება				
კი	69 (62.7)	145 (48.3)	214 (52.2)	0.0098
არა	41 (37.3)	155 (51.7)	196 (47.8)	
ნარკოტიკების აქტიური მოხმარება				
კი	18 (16.4)	20 (6.7)	38 (9.3)	0.0027
არა	92 (83.6)	280 (93.3)	372 (90.7)	
მეთადონის მოხმარება				
კი	0 (0)	4 (1.3)	4 (0.9)	0.2242
არა	110 (100)	296 (98.7)	406 (99.1)	
შაქრიანი დიაბეტი				
კი	1 (0.9)	1 (0.3)	2 (0.5)	0.459

რისკ ფაქტორი	ტუბერკულოზი დადებითი (n=110)	ტუბერკულოზი უარყოფითი (n=300)	სულ (n=410)	P სიდიდე
არა	109 (99.1)	299 (99.7)	408 (99.5)	
HBV ინფექცია				
კი	72 (65.5)	213 (71.0)	285 (69.5)	0.2804
არა	38 (34.5)	87 (29.0)	125 (30.5)	
HCV ინფექცია				
კი	71 (64.5)	139 (46.3)	210 (51.2)	0.0011
არა	39 (35.5)	161 (53.7)	200 (48.8)	
ღვიძლის ციროზი				
კი	15 (13.6)	12 (4.0)	27 (6.6)	0.0005
არა	95 (86.4)	288 (96.0)	383 (93.4)	
ნეფროპათია				
კი	0 (0)	3 (1.0)	3 (0.7)	0.2931
არა	110 (100)	297 (99.0)	407 (99.3)	
პატიმრობაში ყოფნა				
კი	17 (15.4)	30 (10.0)	47 (11.5)	0.125
არა	93 (84.6)	270 (90)	363 (88.5)	
აივ/შიდსის გადაცემის გზა				
ინტრავენური ნარკოტიკების მოხმარება	72 (65.5)	139 (46.3)	211 (51.5)	0.0006
სხვა	38 (34.5)	161 (53.7)	199 (48.5)	
გადატანილი ტუბერკულოზი				

რისკ ფაქტორი	ტუბერკულოზი დადებითი (n=110)	ტუბერკულოზი უარყოფითი (n=300)	სულ (n=410)	P სიდიდე
კი	33 (30.0)	16 (5.3)	49 (11.9)	<0.0001
არა	77 (70.0)	284 (94.7)	361 (88.1)	
ოპორტუნისტული ინფექციები პირველი კლინიკური ვიზიტისას				
კი	37 (33.6)	64 (21.3)	101 (24.6)	0.0105
არა	73 (66.4)	236 (78.7)	309 (75.4)	
არტ				
კი	93 (84.5)	178 (59.3)	271 (66.1)	<0.0001
არა	17 (15.5)	122 (40.7)	139 (33.9)	
არტ რეჟიმი				
2 ნრტი+ ანრტი	91 (97.8)	168 (93.8)	259 (95.2)	0.1437
2 ნრტი+ პი	2 (2.2)	11 (6.2)	13 (4.8)	
ტუბერკულოზის ფორმა პირველი კლინიკური ვიზიტისას				
ფილტვგარეშე	23 (21.1)	0(0)	23 (21.1)	
ფილტვის	87 (78.9)	0(0)	87 (78.9)	
ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების მიმართ მგრძობელობა				
მულტირეზისტენტული ტუბერკულოზი	11 (10.2)	0(0)	11 (10.2)	
სენსიტიური ტუბერკულოზი	97 (89.8)	0(0)	97 (89.8)	
სიკვდილი				

რისკ ფაქტორი	ტუბერკულოზი დადებითი (n=110)	ტუბერკულოზი უარყოფითი (n=300)	სულ (n=410)	P სიდიდე
კი	40 (36.4)	30 (10.0)	340 (82.9)	<0.0001
არა	70 (63.6)	270 (90.0)	70 (17.1)	

მთლიანი დაკვირვების პერიოდში (776,6 პაციენტი/წელიწადზე) ტუბერკულოზი განუვითარდა ართ-ზე მყოფ 4 ავადმყოფს. **ტუბერკულოზის ინციდენტობის მაჩვენებელმა შეადგინა 5.15/1000 პაციენტი/წელიწადზე (95% CI:1.64-12.42).** ოთხივე შემთხვევა იყო ფილტვის ტუბერკულოზი, მათ შორის მულტირეზისტენტული ტუბერკულოზი ნანახი იქნა ორ შემთხვევაში. ართ-ს დაწყებიდან ტუბერკულოზის განვითარებამდე საშუალო პერიოდმა შეადგინა 17 თვე (კვარტილთაშორისი ინტერვალი: 7.6 – 19.9 თვე). ოთხივე ავადმყოფს ტუბერკულოზი განუვითარდა
ართ-ს დაწყებიდან 6 თვის შემდეგ.

სოციო-დემოგრაფიული, კლინიკური და ლაბორატორიული მახასიათებლების შედარება ართ-ზე მყოფ და არა ართ ნამკურნალებ ავადმყოფებში

კვლევაში აღვწერეთ და შევადარეთ სოციო-დემოგრაფიული, კლინიკური და ლაბორატორიული მახასიათებლები ართ-ზე მყოფ (n=271) და არანამკურნალებ ავადმყოფებში (n=139). ***იხილეთ ცხრილი 2.*** ართ-ზე მყოფი ავადმყოფების ასაკი იყო უფრო მაღალი (P=0.0098). ართ უფრო ხშირად ინიშნებოდა იმ ავადმყოფებში, რომლებსაც CD4 ლიმფოციტების მაჩვენებელი ჰქონდათ 350 უჯრედი/მმ^3 -ზე ნაკლები (P<0.0001). არანამკურნალებ ავადმყოფებთან შედარებით ართ-ზე მყოფი ავადმყოფები გამოირჩეოდნენ ნარკოტიკების აქტიური მომხმარების და B და C ჰეპატიტების მაღალი გავრცელებით (P=0.0793, P=0.0338 და P=0.0003). აგრეთვე, ართ-ზე მყოფ ავადმყოფებში ჭარბობდა წარსულში გადატანილი ტუბერკულოზი და ოპორტუნისიტული ინფექციები (p=0.0057 და P=0.0006). პირველი ვიზიტის დროს ტუბერკულოზი უფრო მეტად გხვდებოდა ართ ჯგუფში (P<0.0001).

ცხრილი 2. სოციო-დემოგრაფიული, კლინიკური და ლაბორატორიული მახასიათებლები ართ-ზე მყოფ და არა ართ ნამკურნალებ ავადმყოფებში (n=410)

რისკის ფაქტორი	ართ (+) (n=271)	ართ (-) (n=139)	P სიდიდე
რაოდენობრივი ცვლადი			
ასაკი (წლები)			
მედიანა (კვარტილთაშორისი ინტერვალი)	41.1[36.1-47.1]	38.9 [32.0-44.1]	0.0098
CD4 ლიმფოციტების რაოდენობა პირველი კლინიკური ვიზიტისას			
მედიანა (კვარტილთაშორისი ინტერვალი)	158 [74-288]	463 [300-590]	<0.0001
აივ ვირუსული დატვირთვა პირველი კლინიკური ვიზიტისას			
მედიანა (კვარტილთაშორისი ინტერვალი)	154500 [47159-537000]	35400 [9755-176487]	0.0043
ჰემოგლობინის მაჩვენებელი პირველი კლინიკური ვიზიტისას			
მედიანა (კვარტილთაშორისი ინტერვალი)	121.5 [102-136]	122 [104-139.5]	0.7815
კატეგორიული ცვლადი	**რაოდენობა (%)**		
ასაკი			
>40 წ.	157 (57.9)	60 (43.1)	0.0046
<=40 წ.	114 (42.1)	79 (56.8)	
CD4 ლიმფოციტების რაოდენობა პირველი კლინიკური ვიზიტისას			
<50 უჯრედი/მმ^3	58 (21.4)	17 (12.2)	<0.0001
50-199 უჯრედი/მმ^3	111 (40.9)	12 (8.6)	
200-350 უჯრედი/მმ^3	58 (21.4)	24 (17.3)	
>350 უჯრედი/მმ^3	44 (16.2)	86 (61.9)	

რისკის ფაქტორი	ართ (+) (n=271)	ართ (-) (n=139)	P სიდიდე
აივ ვირუსული დატვირთვა პირველი კლინიკური ვიზიტისას			
>= 100,000 ასლი/მლ	99 (40.1)	81 (63.8)	<0.0001
<100,000 ასლი/მლ	145 (59.4)	46 (36.2)	
ჰემოგლობინის მაჩვენებელი პირველი კლინიკური ვიზიტისას			
<120 გ/ლ	120 (46.8)	55 (42.9)	0.4693
>=120 გ/ლ	136 (53.1)	73 (57.1)	
სქესი			
მამაკაცი	204 (75.3)	85 (61.1)	0.003
ქალი	67 (24.7)	54 (38.9)	
ოჯახური მდგომარეობა			
დაოჯახებული	194 (71.6)	102 (73.4)	0.701
დასაოჯახებელი	77 (28.4)	37 (26.6)	
განათლება			
არასრული საშუალო განათლება	94 (34.7)	49 (35.2)	0.9095
საშუალო და უმაღლესი განათლება	177 (65.3)	90 (64.8)	
დასაქმება			
უმუშევარი	251 (92.6)	130 (93.5)	0.7353
დასაქმებული	20 (7.4)	9 (6.5)	
საცხოვრებელი ადგილი			
არაურბანული	146 (53.9)	71 (51.1)	0.5919
ურბანული	125 (46.1)	68 (48.9)	
თამბაქოს მოხმარება			
კი	164 (60.5)	78 (56.1)	0.391
არა	107 (39.5)	61 (43.9)	
ალკოჰოლის მოხმარება			

რისკის ფაქტორი	ართ (+) (n=271)	ართ (-) (n=139)	P სიდიდე
კი	146 (53.9)	68 (48.9)	0.3418
არა	125 (46.1)	71 (51.1)	
ნარკოტიკების აქტიური მოხმარება			
კი	30 (11.1)	8 (5.7)	0.0793
არა	241 (88.9)	131 (94.2)	
მეთადონის მოხმარება			
კი	2 (0.7)	2 (1.4)	0.4948
არა	269 (99.3)	137 (98.6)	
შაქრიანი დიაბეტი			
კი	2 (0.7)	0 (0)	0.3105
არა	269 (99.3)	139 (100.0)	
HBV ინფექცია			
კი	92 (33.9)	33 (23.7)	0.0338
არა	179 (66.1)	106 (76.3)	
HCV ინფექცია			
კი	156 (57.6)	54 (38.8)	0.0003
არა	115 (42.4)	85 (61.1)	
ღვიძლის ციროზი			
კი	19 (7.0)	8 (5.7)	0.6279
არა	252 (92.9)	131 (94.2)	
ნეფროპათია			
კი	0 (0)	3 (2.1)	0.0153
არა	271 (100.0)	136 (97.8)	
პატიმრობაში ყოფნა			
კი	36 (13.3)	11 (7.9)	0.1066
არა	235 (86.7)	128 (92.1)	
აივ/შიდსის გადაცემის გზა			

რისკის ფაქტორი	ართ (+) (n=271)	ართ (-) (n=139)	P სიდიდე
ინტრავენური ნარკოტიკების მოხმარება	153 (56.5)	58 (41.7)	0.0048
სხვა	118 (43.5)	81 (58.3)	
წარსულში გადატანილი ტუბერკულოზი			
კი	41 (15.1)	8 (5.8)	0.0057
არა	230 (84.9)	131 (94.2)	
ტუბერკულოზი პირველი ვიზიტისას			
კი	93 (34.3)	17 (12.2)	<0.0001
არა	178 (65.7)	122 (87.8)	
ოპორტუნისტული ინფექციები პირველი ვიზიტისას			
კი	81 (29.9)	20 (14.4)	0.0006
არა	190 (70.1)	119 (85.6)	
ტუბერკულოზის ფორმა პირველი ვიზიტისას (n=110)			
ფილტვგარე	19 (19.6)	4 (23.5)	0.7087
ფილტვის	78 (80.4)	13 (76.5)	
ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების მიმართ მგრძობელობა			
მულტირეზისტენტული ტუბერკულოზი	11 (11.3)	2 (12.5)	0.8933
სენსიტიური ტუბერკულოზი	86 (88.7)	14 (87.5)	
სიკვდილი			
კი	43 (15.9)	27 (19.4)	0.3654
არა	228 (84.1)	112 (80.6)	

აივ/შიდსით ავადმყოფებში სიკვდილობასთან დაკავშირებული რისკის ფაქტორების ანალიზი

სიკვდილობასთან დაკავშირებული რისკის ფაქტორების ბივარიაციულმა ანალიზმა აჩვენა, **რომ სიკვდილობა უფრო მაღალი იყო არა ართ ნამკურნალებ აივ/შიდსით ავადმყოფებში** ართ-ზე მყოფ ავადმყოფებთან შედარებით, თუმცა ეს განსხვავება არ იყო სტატისტიკურად სარწმუნო (OR=1.28, 95% CI=0.75-2.17, p=0.3654). სიკვდილობა უფრო მაღალი იყო მამაკაცებში ქალებთან შედარებით (OR=2.56, 95% CI=1.29-5.08, P=0.0055) და ასევე 40 წელზე მეტი ასაკის მქონე ავადმყოფებში (OR=2.21, 95% CI=1.28-3.82, p=0.0046).

სიკვდილობის მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებოდნენ დაბალი CD4 ლიმფოციტების რაოდენობის (<50 უჯრედი/მმ^3 და 50-200 უჯრედი/მმ^3) და დაბალი ჰემოგლობინის მაჩვენებლის მქონე ავადმყოფები (OR=13.34, 95% CI= 5.71-31.1, p<0.0001, OR=3.14, 95% CI= 1.33-7.39, p=0.0088 და OR=3.69, 95% CI=1.89-6.85, p<0.0001 შესაბამისად). სიკვდილობის მაღალ რისკს ასევე განაპირობებდა მაღალი აივ ვირუსული დატვირთვა (OR=3.34, 95% CI=1.76- 6.36, p=0.0002 შესაბამისად).

სიკვდილობა ასევე კორელირებდა ინტრავენური ნარკოტიკების აქტიურ მოხმარებასთან, C ჰეპატიტის კოინფექციასთან და ღვიძლის ციროზთან (OR=2.49, 95% CI=1.19-5.23, p=0.0127; OR=1.65, 95% CI=0.97-2.79, p=0.0609 და OR=6.29, CI=2.91-14.08, p<0.0001 შესაბამისად). სიკვდილობა ასევე მაღალი იყო ინტრავენური ნარკოტიკების გზით დაინფიცირებულ აივ/შიდსით ავადმყოფებში (OR=2.19, 95% CI=1.27-3.77, P=0.0045).

პირველი კლინიკური ვიზიტისას ტუბერკულოზის და ოპორტუნისტული ინფექციების არსებობა კორელირებდა სიკვდილობის მომატებულ რისკთან (OR=5.14, 95% CI=2.99-8.83, P<0.0001 და OR=7.74, CI=4.43-13.53, P<0.0001). პარადოქსული დამოკიდებულება აღინიშნა მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის არსებობასა და სიკვდილობას შორის, კერძოდ მულტირეზისტენტული ტუბერკულოზით ავადმყოფებს სიკვდილობის უფრო დაბალი რისკი აღმოაჩნდათ სენსიტიური ტუბერკულოზით ავადმყოფებთან შედარებით

(OR=0.31, 95% CI=0.06-1.47, P=0.1247). წარსულში გადატანილი ტუბერკულოზის მქონე ავადმყოფები გადარჩენის უფრო მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდნენ, თუმცა ეს კორელაცია არ იყო სტატისტიკურად სარწმუნო (OR=0.65, CI=0.26-1.59, p=0.339. ***იხილეთ ცხრილი 3.***

ცხრილი 3. აივ/შიდსით ავადმყოფებში სიკვდილობასთან დაკავშირებული რისკის ფაქტორების ბივარიაციული ანალიზი (n=410)

რისკ-ფაქტორი	OR*	95% CI*	P სიდიდე
რაოდენობრივი ცვლადი			
ასაკი (წლები)			
საშუალო	1.04	1.01, 1.07	0.0053
CD4 ლიმფოციტების რაოდენობა პირველი ვიზიტისას			
საშუალო	0.99	0.99, 0.996	<0.0001
აივ ვირუსული დატვირთვა პირველი ვიზიტისას			
საშუალო	1	1.0, 1.0	0.1416
ჰემოგლობინის მაჩვენებელი პირველი ვიზიტისას			
საშუალო	0.96	0.94, 0.97	<0.0001
კატეგორიული ცვლადი			
ასაკი			
>40 წ.	2.21	1.28, 3.82	0.0046
<=40 წ.	ref		
CD4 ლიმფოციტების რაოდენობა პირველი ვიზიტისას			
<50 უჯრედი/მმ^3	13.34	5.7, 31.1	<0.0001
50-199 უჯრედი/მმ^3	3.14	1.33, 7.39	0.0088
200-350 უჯრედი/მმ^3	1.2	0.40, 3.60	0.7401
>350 უჯრედი/მმ^3	ref.		
აივ ვირუსული დატვირთვა პირველი ვიზიტისას			
>= 100,000 ასლი/მლ	3.34	1.76, 6.36	0.0002
<100,000 ასლი/მლ	ref		
ჰემოგლობინის მაჩვენებელი			

რისკ-ფაქტორი	OR*	95% CI*	P სიდიდე
პირველი ვიზიტისას			
<120 გ/ლ	3.69	1.89, 6.85	<0.0001
>=120 გ/ლ	ref		
სქესი			
მამაკაცი	2.56	1.29, 5.08	0.0055
ქალი	ref.		
ოჯახური მდგომარეობა			
დაოჯახებული	1.39	0.77, 2.33	0.3008
დაუოჯახებელი	ref.		
განათლება			
არასრული საშუალო განათლება	0.89	0.52, 1.55	0.6969
საშუალო და უმაღლესი განათლება	ref.		
დასაქმების სტატუსი			
უმუშევარი	2.93	0.68, 12.62	0.1313
დასაქმებული	ref		
საცხოვრებელი ადგილი			
არაურბანული	1.03	0.59, 1.68	0.9898
ურბანული	ref		
თამბაქოს მოხმარება			
კი	1.18	0.70, 1.98	0.5366
არა	ref.		
ალკოჰოლის მოხმარება			
კი	1.11	0.66, 1.85	0.7009
არა	ref.		
ინტრავენური ნარკოტიკების აქტიური მოხმარება			
კი	2.49	1.19, 5.23	0.0127
არა	ref		
მეთადონის მოხმარება			
კი	1.63	0.17, 15.88	0.6724
არა	ref		
შაქრიანი დიაბეტი			
კი	0.96	0.05, 20.22	0.5206
არა	ref		
HBV ინფექცია			
კი	0.69	0.38, 1.24	0.2164
არა	ref		
HCV ინფექცია			
კი	1.65	0.97, 2.79	0.0609

რისკ-ფაქტორი	OR*	95% CI*	P სიდიდე
არა	ref		
ღვიძლის ციროზი			
კი	6.29	2.91, 14.08	<0.0001
არა	ref		
ნეფროპათია			
კი	9.97	0.89, 111.51	0.0221
არა	ref		
პატიმრობაში ყოფნა			
კი	1.36	0.64, 2.89	0.4163
არა	ref		
აივ/შიდსის გადაცემის გზა			
ინტრავენური ნარკოტიკების მოხმარება	2.19	1.27, 3.77	0.0045
სხვა	ref.		
გადატანილი ტუბერკულოზი			
კი	0.65	0.26, 1.59	0.339
არა	ref		
ტუბერკულოზი პირველი ვიზიტისას			
კი	5.14	2.99, 8.83	<0.0001
არა	ref		
ოპორტუნისტული ინფექციები პირველი ვიზიტისას			
კი	7.74	4.43, 13.53	<0.0001
არა	ref		
ართ			
კი	ref		
არა	1.28	0.75, 2.17	0.3654
ართ რეჟიმი (n=271)			
2 ნრტი+ ანრტი			
2 ნრტი+ პი			
ტუბერკულოზის ფორმა პირველი ვიზიტისას (n=110)			
ფილტვგარე	0.77	0.29, 2.06	0.6023
ფილტვის	ref.		
ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების მიმართ მგრძობელობა			
მულტირეზისტენტული ტუბერკულოზი	0.31	0.06, 1.47	0.1247

რისკ-ფაქტორი	OR*	95% CI*	P სიდიდე
მედიკამენტების მიმართ სენსიტიური ტუბერკულოზი	ref		
შენიშვნა: OR: შანსების თანაფარდობა 95% CI: სარწმუნოობის ინტერვალი			

სოციო-დემოგრაფიული, კლინიკური და ლაბორატორიული მახასიათებლები ართ-ზე მყოფ და არა ართ ნამკურნალებ აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში

როგორც აღვნიშნეთ, კვლევაში ჩართული აივ/შიდსით ავადმყოფების 26.8% (110 ავადმყოფი) კოინფიცირებული იყო ტუბერკულოზით. წარსულში გადატანილი ტუბერკულოზი დაფიქსირდა 22 (30%) ავადმყოფში. ტუბერკულოზის მკურნალობის პერიოდში ართ ჩაუტარდა 93 აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფს. ავადმყოფებზე დაკვირვების პერიოდის მედიანა შეადგენდა 22.5 თვეს. ***იხილეთ ცხრილი 4.***

დროის მედიანა ავადმყოფის პირველ კლინიკურ ვიზიტსა და ართ-ს დაწყებას შორის შეადგენდა 1.5 თვეს (კვარტილთაშორისი ინტერვალი 0.6 – 5.3 თვე). აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებს, რომელთაც CD4 ლიმფოციტების რაოდენობა ჰქონდათ 200 უჯრედი/მმ^3 -ზე დაბალი, ართ დაენიშნათ გაცილებით მოკლე დროში (2.9 თვე vs 10.4 თვე, P<0.0001). აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფების თითქმის 77%-ს პირველი კლინიკური ვიზიტის დროს შორსწასული აივ/შიდსი აღენიშნებოდათ.

ართ-ზე მყოფ აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში **სიკვდილობამ შეადგინა 28%**, ხოლო **არანამკურნალებ ავადმყოფებში - 82% (P<0.0001)**. ტუბერკულოზის დიაგნოზის დადასტურებიდან სიკვდილამდე დროის მედიანამ შეადგინა 3.6 თვე (კვარტილთაშორისი ინტერვალი: 1.3 – 5.8 თვე).

CD4 ლიმფოციტების საშუალო რაოდენობა უფრო დაბალი იყო ართ მკურნალობაზე მყოფ აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში, არანამკურნალებ ავადმყოფებთან შედარებით (134.4 უჯრედი/მმ^3 და 297.1 უჯრედი/მმ^3, P=0.0029). ასევე ართ ჯგუფში მყოფი ავადმყოფები გამოირჩეოდნენ ანემიით (P=0.0127) და B და C ჰეპატიტებით კოინფექციის მაღალი სიხშირით

(P= 0.0325 and P=0.0292).

ცხრილი 4. სოციო-დემოგრაფიული, კლინიკური და ლაბორატორიული მახასიათებლები ართ-ზე მყოფ და არანამკურნალებ აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში (n=110)

რისკის ფაქტორი	ართ (+) (n=93)	ართ (-) (n=17)	P სიდიდე
ასაკი, *>40 წ.*	47 (50.5)	7 (41.2)	0.4798
CD4 ლიმფოციტების რაოდენობა პირველი ვიზიტისას, უჯრედი/მმ^3 *საშუალო (მედიანა) [კვარტილთაშორისი ინტერვალი]*	134 (88) [47-190]	297 (141) [18-343]	**0.0029**
CD4 ლიმფოციტების რაოდენობა პირველი ვიზიტისას, უჯრედი/მმ^3			
<50	30 (32.3)	7 (41.2)	0.2848
50-199	43 (46.2)	4 (23.5)	
200-350	13 (13.9)	3 (17.6)	
>350	7 (7.6)	3 (17.7)	
აივ ვირუსული დატვირთვა >= 100,000 უჯრედი/მმ^3	59 (71.8)	9 (64.3)	0.5146
ჰემოგლობინის მაჩვენებელი პირველი ვიზიტისას , *<120 გ/ლ*	56 (49.5)	14 (82.3)	**0.0127**

რისკის ფაქტორი	ართ (+) **(n=93)**	ართ (-) **(n=17)**	**P სიდიდე**
მამაკაცი/სქესი	78 (83.9)	12 (70.6)	**0.1937**
უმუშევრობა	87 (93.5)	16 (94.1)	0.9299
თამბაქოს მოხმარება	64 (68.8)	10 (58.8)	0.4194
ალკოჰოლის მოხმარება	58 (62.4)	11 (64.7)	0.8544
ინტრავენური ნარკოტიკების აქტიური მოხმარება	15 (16.1)	3 (17.6)	0.8769
HBV ინფექცია	36 (38.7)	2 (11.8)	**0.0325**
HCV ინფექცია	64 (68.8)	7 (41.2)	**0.029**
ღვიძლის ციროზი	13 (13.9)	2 (11.8)	0.8077
პატიმრობაში ყოფნა	17 (18.3)	0 (0)	**0.0563***
ინტრავენური ნარკოტიკების მოხმარება, აივ/შიდსის და გადაცემის გზა	62 (66.7)	10 (58.8)	0.5336
წარსულში გადატანილი ტუბერკულოზი	28 (30.1)	5 (29.4)	0.9543
ოპორტუნისტული ინფექციები პირველი ვიზიტისას	31 (33.3)	6 (35.3)	0.8755
ფილტვის ტუბერკულოზი, ტუბერკულოზის ფორმა პირველი ვიზიტისას	19 (20.7)	4 (23.5)	0.7903
მულტირეზისტენტული ტუბერკულოზი/ *ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების მიმართ მგრძობელობა*	9 (9.8)	2 (12.5)	0.7413
სიკვდილი	26 (27.9)	14 (82.3)	**<0.0001**

აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში სიკვდილობასთან დაკავშირებული რისკის ფაქტორების ანალიზი

აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში სიკვდილობის რისკ-ფაქტორების ბივარიაციულმა ანალიზმა გვაჩვენა, რომ **სიკვდილობა მნიშვნელოვნად მაღალი იყო იმ ავადმყოფებში, რომლებიც არ იმყოფებოდნენ ართ-ზე** (P<0.0001); სიკვდილობის მომატებული რისკი **კორელირებდა CD4 ლიმფოციტების დაბალ რაოდენობასთან (P<0.0434), ანემიის არსებობასთან (P<0,003), ინტრავენური ნარკოტიკების აქტიურ მოხმარებასთან (P<0,1905, ღვიძლის ციროზთან (P<0.009), წარსულში გადატანილ ტუბერკულოზთან (P<0.0026) და ოპორტუნისტული ინფექციების არსებობასთან (P<0.0,0016).** ***იხილეთ ცხრილი 5***

ცხრილი 5. აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში სიკვდილობასთან დაკავშირებული რისკის ფაქტორების ბივარიაციული ანალიზი (n=110)

რისკის ფაქტორი	სიკვდილი (+) **(n=40)**	სიკვდილი (-) **(n=70)**	P სიდიდე
ასაკი, >=40 *წ.*	18 (45.0)	36 (51.4)	0.5184
CD4 ლიმფოციტების რაოდენობა პირველი კლინიკური ვიზიტისას, უჯრედი/მმ^3			
<50	20 (50.0)	17 (24.3)	**0.0434**
50-199	14 (35.0)	33 (47.1)	
200-350	3 (7.5)	13 (17.6)	
>350	3 (7.5)	7 (10.0)	
აივ ვირუსული დატვირთვა პირველი კლინიკური ვიზიტისას >= 100,000 უჯრედი/მმ^3	25 (78.1)	43 (68.2)	0.3159
ჰემოგლობინის მაჩვენებელი პირველი კლინიკური ვიზიტისას , *<120 გ/ლ*	31 (77.5)	29 (41.4)	**0.0003**
მამაკაცი/სქესი	34 (85.0)	56 (80.0)	0.515
უმუშევრობა	40 (100.0)	63 (90.0)	0.5814
არაურბანული, *საცხოვრებელი ადგილი*	23 (57.5)	44 (62.8)	0.4555
თამბაქოს მოხმარება	24 (60.0)	50 (71.4)	0.2212
ალკოჰოლის მოხმარება	25 (62.5)	44 (62.9)	0.9704
ინტრავენური ნარკოტიკების აქტიური მოხმარება	9 (22.5)	9 (12.9)	**0.1905**
HBV ინფექცია	10 (25.0)	28 (40.0)	**0.1131**
HCV ინფექცია	26 (65.0)	45 (64.3)	0.9402
ღვიძლის ციროზი	10 (25.0)	5 (7.1)	**0.009**
პატიმრობაში ყოფნა	7 (17.5)	10 (14.3)	0.6552
ინტრავენური ნარკოტიკების მოხმარება, *აივ/შიდსის და გადაცემის გზა*	29 (72.5)	43 (61.4)	0.2423
წარსულში გადატანილი ტუბერკულოზი	5 (12.5)	28 (40.0)	**0.0026**
ოპორტუნისტული ინფექციები პირველი ვიზიტისას	21 (52.5)	16 (22.9)	**0.0016**

რისკის ფაქტორი	სიკვდილი (+) (n=40)	სიკვდილი (-) (n=70)	P სიდიდე
ართ (-)	14 (35.0)	3 (4.3)	**<0.0001**
ართ რეჟიმი (n=93)			
2 ნრტი+ ანრტი	26 (100.0)	65 (97.0)	0.3754
2 ნრტი+ პი	0 (0)	2 (3.0)	
ფილტვის ტუბერკულოზი, ტუბერკულოზის ფორმა პირველი ვიზიტისას	32 (82.1)	54 (77.1)	0.549
მულტირეზისტენტული ტუბერკულოზი/ *ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების მიმართ მგრძობელობა*	2 (5.3)	9 (12.9)	0.2276

ტუბერკულოზის დეტერმინანტები აივ/შიდსით ავადმყოფებში

ავადმყოფის პირველი ვიზიტისას **CD4 ლიმფოციტების დაბალი რაოდენობა ტუბერკულოზის მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს წარმოადგენდა.** კერძოდ, 350 უჯრედი/მმ^3 და მეტი CD4 ლიმფოციტების რაოდენობის მქონე ავადმყოფებთან შედარებით, 50 უჯრედი/მმ^3-ზე ნაკლები CD4 ლიმფოციტების რაოდენობის კატეგორიაში ტუბერკულოზის რისკი 6-ჯერ მაღალი იყო (AOR)=5.68 [CI:2.24-14.38], 50-200 უჯრედი/მმ^3 ნაკლები CD4 ლიმფოციტების რაოდენობის კატეგორიაში 4-ჯერ მაღალი (AOR=4.41 [CI:1.97-9.88]), ხოლო 200-350 უჯრედი/მმ^3 CD4 ლიმფოციტების რაოდენობის კატეგორიაში - თითქმის 3-ჯერ მაღალი (AOR=2.96 [CI:1.19-7.29]). ტუბერკულოზის რისკ-ფაქტორებს ასევე წარმოადგენდა ჰემოგლობინის მაჩვენებელი 120 გ/ლ-ზე ნაკლები (AOR=2.28, [CI:1.29-4.05]), ღვიძლის ციროზი (AOR=3.58 [CI:1.39-9.17]) და წარსულში გადატანილი ტუბერკულოზი (AOR=7.1 [CI:3.3-14.3]). ***იხილეთ ცხრილი 6.***

ცხრილი 6. ტუბერკულოზთან დაკავშირებული დეტერმინანტები აივ/შიდსით ავადმყოფებში საქართველოში, 2008-2009 წწ.

დეტერმინანტები	AOR (95% CI)
CD4 ლიმფოციტები პირველ ვიზიტზე, უჯრედი/მმ³	
<50	**5.68** (2.24-14.38)*
50-199	**4.41** (1.97-9.88)*
200-350	**2.96** (1.19-7.29)*
>350	1
აივ ვირუსული დატვირთვა პირველი კლინიკური ვიზიტისას >= 100,000 ასლი/მლ	1.82 (1.00-3.29)*
ჰემოგლობინი პირველ ვიტიზე *<120 გ/ლ*	2.28 (1.29-4.05)*
ღვიძლის ციროზი	3.58 (1.39-9.17)*
წარსულში გადატანილი ტუბერკულოზი	7.1 (3.4-14.3)*

შენიშვნა:
CI = სარწმუნოობის ინტერვალი;
AOR = შესწორებული შანსების თანაფარდობა.

ართ მკურნალობაზე მყოფი და არანამკურნალები აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფების გადარჩენის მაჩვენებლები შედარდა კაპლან-მაიერის მეთოდით. იხილეთ **დიაგრამა** *9.* ტუბერკულოზის დიაგოზის დასმიდან გადარჩენის მაჩვენებლები დაკვირვების პირველ, მეორე და მესამე წელიწადს შეადგენდა 77%-ს, 75%-ს და 75%-ს ართ-ზე მყოფ ავადმყოფებში და 15%-ს, 0%-ს და 0%-ს არანამკურნალევ ავადმყოფებში. ეს განსხვავება იყო სტატისტიკურად სარწმუნო (Long-rank test, P<0.0001).

დიაგრამა 9. ართ-ზე მყოფ და ართ არა ნამკურნალებ აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში გადარჩენის მაჩვენებლები



შენიშვნა: ართ: ანტირეტროვირუსული თერაპია; დაკვირვების დრო მოცემულია თვეებში.

აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში სიკვდილობასთან დაკავშირებული ფაქტორები შეფასებულ იქნა კოქსის (Cox) რეგრესიული მოდელის მეშვეობით.

მულტივარიაცულ რეგრესიულ მოდელში შეყვანილ იქნა ყველა ის თავისუფალი ცვლადი, რომლებიც სარწმუნოდ კორელირებდა ართ-სთან და სიკვდილობასთან ბივარიაციული ანალიზში. მულტივარიაციული ანალიზის მიხედვით იმ ავადმყოფებს, რომლებიც არ იმყოფებოდნენ **ართ-ზე თითქმის რვაჯერ მაღალი სიკვდილობის რისკი აღმოაჩნდათ**, ართ-ზე მყოფ ავადმყოფებთან შედარებით (HR=7.7, [CI:3.4-17.7]). ***იხილეთ ცხრილი 7.***

ცხრილი 7. აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში სიკვდილობასთან დაკავშირებული ფაქტორები შეფასებული კოქსის (Cox) რეგრესიული მოდელის მეშვეობით. (n=110)

რისკ-ფაქტორი	შესწორებული HR (95% CI)
ართ (-)	**7.71 (3.36-17.68)***
ასაკი, *წლებში (რაოდენობრივი ცვლადი)*	0.98 (0.94-1.02)
CD4 ლიმფოციტების რაოდენობა პირველი ვიზიტისას, უჯრედი/მმ^3	
<50	0.93 (0.23-3.72)
50-199	0.71 (0.18-2.78)
200-350	0.26 (0.04-1.54)
>350	1
ჰემოგლობინის მაჩვენებელი პირველი ვიზიტისას, *<111 გ/ლ*	2.61 (0.98-6.91)
მულტირეზისტენტული ტუბერკულოზი, *ანტიტუბერკულოზური მედიკამენტებისადმი მგრძნობელობა*	0.45 (0.10-2.00)

კოჰორტაზე დაკვირვების პერიოდის (22,5 თვე) მანძილზე აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებს, რომლებსაც ართ დაენიშნა ტუბერკულოზის დიაგნოზის დასმიდან 2 თვეზე მეტი დროის შუალედში, სიკვდილობის 2.6 ჯერ მეტი რისკი ჰქონდათ

იმ ავადმყოფებთან შედარებით, რომლებსაც ართ დაეწყო ტუბერკულოზის დიაგნოზის დასმიდან 2 თვეზე ნაკლებ დროის შუალედში (HR: 2.64 [CI: 1.03, 6.75] P=0.0425). ართ-ს დაწყების უფრო მაღალი სარგებელი გამოვლინდა აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში, რომლებმაც ართ დაიწყეს ტუბერკულოზის დიაგნოზის დასმიდან 6 თვეზე ნაკლებ პერიოდში, იმ ჯგუფთან შედარებით, რომელსაც ართ დაენიშნა ტუბერკულოზის დიაგნოზის დადასტურებიდან 6 თვეზე მეტი დროის შუალედში.

ცხრილი 8. სიკვდილობა აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში ტუბერკულოზის დიაგნოზის დასმიდან ართ-ს დაწყების დროის შუალედის მიხედვით. (n-110)

დროის შუალედი ტუბერკულოზის დიაგნოზის დასმიდან ართ-ს დაწყებამდე	სიკვდილობის მაჩვენებელი	HR	95% CI	P სიდიდე
>2 თვე vs <2 თვე	34.8% (16/46) vs 15% (6/40)	2.64	1.03, 6.75	0.0425
>4 თვე vs <4 თვე	32.2% (19/59) vs 11.1% (3/27)	3.25	0.96, 10.99	0.0578
>6 თვე vs <6 თვე	32.3% (21/65) vs 4.8 (1/21)	7.93	1.07, 58.97	0.0431

ტუბერკულოზის ინციდენტობა პეგილირებული და ინტერფერონითა და რიბავირინით მკურნალობაზე მყოფ აივ/შიდსის და C ჰეპატიტის მკურნალობაზე მყოფ ქრონიკული C ჰეპატიტით ავადმყოფებში

კვლევაში ჩართული იქნა ასევე 2011 წლის 1 დეკემბრიდან 2015 წლის 31 მაისამდე საქართველოში აივ/შიდსის და C ჰეპატიტის კოინფექციით 420 ავადმყოფი, რომლებსაც

ჩაუტარდათ C ჰეპატიტის ანტივირუსული მკურნალობა პეგილირებული და ინტერფერონითა და რიბავირინით. მათგან ტუბერკულოზი განვითარდა 6 პაციენტში. აღსანიშნავია, რომ ექვსივე პაციენტი იმყოფებოდა ართ-ზე და ქრონიკული C ჰეპატიტის მკურნალობის დაწყებისას აღნიშნული ავადმყოფების აივ რნმ-ის რაოდენობა სისხლში იყო <34 ასლი/მლ და CD4 უჯრედების აბსოლუტური რიცხვი >350/მმ^3. ქრონიკული C ჰეპატიტის მკურნალობის დაწყებისას 420-ვე პაციენტში გამოირიცხა ოპორტუნისტული ინფექციების არსებობა.

ტუბერკულოზით გართულების მქონე 6 ავადმყოფიდან 3 ავადმყოფს ქრონიკული C ჰეპატიტის მკურნალობის დაწყებამდე რამოდენიმე წლით ადრე ჰქონდა გაკეთებული ტუბერკულინის კანის ტესტი და შესაბამისად ჩატარებული იზონიაზიდით პროფილაქტიკური მკურნალობის სრული კურსი, 2 ავადმყოფში არ იყო ჩატარებული ტუბერკულინის კანის ტესტი, ხოლო 1 ავადმყოფს ანამნეზში აღენიშნებოდა აქტიური ტუბერკულოზის ეპიზოდი და შესაბამისად ჩატარებული ჰქონდა ანტიტუბერკულოზური მკურნალობის კურსი, რომელიც დასრულდა C ჰეპატიტის მკურნალობის დაწყებამდე 1 წლით ადრე.

ექვსივე ავადმყოფში ტუბერკულოზის დიაგნოზი დაისვა C ჰეპატიტის ანტივირუსული მკურნალობის პერიოდში. შესაბამისად, ყველა ავადმყოფს შეუწყდა ქრონიკული C ჰეპატიტის ანტივირუსული მკურნალობა. ტუბერკულოზის ინსიდენტობამ შეადგინდა 1.4 შემთხვევა 100 პაციენტზე წელიწადში (95% CI=0.58-2.97).

ინციდენტური ტუბერკულოზის შემთხვევებიდან 4 ავადმყოფს ტუბერკულოზი განუვითარდა C ჰეპატიტის ანტივირუსული მკურნალობის დაწყებიდან 12 კვირის ფარგლებში, ხოლო დანარჩენ 2 ავადმყოფს - მკურნალობის დაწყებიდან 24 კვირის შემდეგ. ტუბერკულოზის განვითარებისთანავე ყველა ავადმყოფში შეწყდა პეგილირებული ინტერფერონით და რიბავირინით ანტივირუსული მკურნალობა. მყარი ვირუსული პასუხი ვერ იქნა მიღწეული იმ ორ ავადმყოფში, რომლებსაც ტუბერკულოზი

განუვითარდა ანტივირუსული მკურნალობის დაწყებიდან 24 კვირის შემდეგ. სოციო-დემოგრაფიული, კლინიკური და ლაბორატორიული მახასიათებლები აივ/შიდსის და C ჰეპატიტის კოინფექციით ავადმყოფებში, რომლებსაც ტუბერკულოზი განუვითარდათ C ჰეპატიტის ანტივირუსული მკურნალობის პროცესში მოცემულია ცხრილში 9:

ცხრილი 9. სოციო-დემოგრაფიული, კლინიკური და ლაბორატორიული მახასიათებლები აივ/შიდსის და C ჰეპატიტის კოინფექციით ავადმყოფებში, რომლებსაც ტუბერკულოზი განუვითარდათ C ჰეპატიტის პეგილირებული ინტერფერონით და რიბავირინით ანტივირუსული მკურნალობის პროცესში (N=6).

ცვლადი	ავადმყოფი					
	1	2	3	4	5	6
სქესი	მამაკაცი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	მამაკაცი	მამაკაცი
ასაკი, წ.	38	41	37	30	40	39
აივ გადაცემის გზა	ნარკოტიკის ინექციური მოხმარება	ნარკოტიკის ინექციური მოხმარება	ჰეტეროსექსუალური	ნარკოტიკის ინექციური მოხმარება	ნარკოტიკის ინექციური მოხმარება	ნარკოტიკის ინექციური მოხმარება
აივ/შიდსის სტადია C ჰეპატიტის მკურნალობის დაწყებამდე	II	I	II	II	I	II
აივ რნმ პირველი კლინიკური ვიზიტისას, ასლი/მლ.	<34	<34	<34	<34	<34	<34
CD4 ლიმფოციტების რაოდენობა პირველი კლინიკური ვიზიტისას უჯრედი/მმ³	431	513	356	457	516	497
არვ კომბინაცია	TDF/FTC/EFV	TDF/FTC/RTG	TDF/FTC/ LPV/RTV	TDF/FTC/EFV	ABC/3TC/EFV	TDF/FTC/EFV

C ჰეპატიტის ანტივირუსული კომბინაცია	პეგ. ინტერფერონი/რიბავირინი	პეგ. ინტერფერონი/ რიბავირინი	პეგ. ინტერფერონი/ რიბავირინი	პეგ. ინტერფერონი/ რიბავირინი	პეგ. ინტერფერონი/ რიბავირინი	პეგ. ინტერფერონი/ რიბავირინი
HCV *გენოტიპი*	3a	1b	2a/2c	1b	1b	3a
წარსულში გადატანილი ტუბერკულოზი	უცნობია	უცნობია	უცნობია	უცნობია	2009 წ.	უცნობია
ტუბერკულინის კანის ტესტი წარსულში	დადებითი	დადებითი	უცნობია	დადებითი	არ ჩატარებია	არ ჩატარებია
ლატენტური ტუბერკულოზი	იზონიაზიდით 6 თვიანი მკურნალობა	იზონიაზიდით 6 თვიანი მკურნალობა	არა	იზონიაზიდით 6 თვიანი მკურნალობა	არა	არა
HCV *მკურნალობის ხანგრძლივობა ტუბერკულოზის დიაგნოზის დასმისას*	8	27	4	25	7	10
ტუბერკულოზის ლოკალიზაცია	ფილტვის	ფილტვის	ფილტვის	ფილტვის	ლიმფური კვანძების	ფილტვის
მიკრობიოლოგიური დიაგნოზი	დადებითი ტესტი GeneXpert-ზე	ნაცხ-დადებითი და კულტურა-დადებითი	ნაცხ-დადებითი და კულტურა-დადებითი	დადებითი ტესტი GeneXpert-ზე	ნაცხ- დადებითი და კულტურა-დადებითი	კულტურა-დადებითი
მყარი ვირუსული პასუხი	არ ჩატარებულა	არა	არ ჩატარებულა	არა	არ ჩატარებულა	არ ჩატარებულა

შენიშვნა: HCV- C ჰეპატიტის ვირუსი; TDF-ტენოფოვირი; FTC- ემტრიციტაბინი; EFV- ეფავირენზი; RTG- რალტეგრავირი; LPV-ლოპინავირი; RTV-რიტონავირი; ABC- აბაკავირი; 3TC-ლამივუდინი

განხილვა

ჩვენს მიერ პირველად საქართველოში შესწავლილ იქნა აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში სიკვდილობასთან დაკავშირებული რისკის ფაქტორები, აქტიური ტუბერკულოზის დეტერმინანტები და გადარჩენის მაჩვენებლები. დადგინდა კოინფიცირებულ ავადმყოფებში ტუბერკულოზის დიაგნოზის დასმიდან ართ-ს დაწყების ოპტიმალური დრო. კვლევამ ასევე საშუალება მოგვცა შეგვესწავლა პეგილირებული ინტერფერონით და რიბავირინით C ჰეპატიტის მკურნალობაზე მყოფ აივ/შიდსის და C ჰეპატიტის კოინფექციით ავადმყოფებში ტუბერკულოზის შემთხვევების მახასიათებლები, კლინიკური გამოსავლები და C ჰეპატიტის ანტივირუსული მკურნალობის პროცესში შეგვეფასებინა ტუბერკულოზის ინციდენტობა.

საკვლევი პოპულაციის თითქმის მესამედს პირველი კლინიკური ვიზიტისას აღენიშნებოდა აქტიური ტუბერკულოზი და/ან სხვა ოპორტუნისტული ინფექციები. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, რომ აივ/შიდსის დიაგნოზის დასმის მომენტში აივ/შიდსით ავადმყოფების **თითქმის ნახევარს უკვე გამოხატული ჰქონდა შორსწასული აივ ინფექცია.** ქვეყანაში ტუბერკულოზის მაღალი ტვირთის გათვალისწინებით, საკვლევ პოპულაციაში ტუბერკულოზით კოინფექციის მაღალი სიხშირე ლოგიკური იყო[36].

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ **CD4 ლიმფოციტების დაბალი მაჩვენებელი და მაღალი აივ ვირუსული დატვირთვა ტუბერკულოზის განვითარების მნიშვნელოვან კლინიკური მარკერებს წარმოადგენდა.** ეს შედეგები ეთანხმება სამხრეთ აფრიკაში ჩატარებულ შრომას[64, 65], რომელშიც ნაჩვენები იყო, რომ მაღალი CD4 ლიმფოციტების რაოდენობის მქონე აივ/შიდსით ავადმყოფებს ტუბერკულოზი ნაკლებად ემართებოდათ.

საშუალოზე დაბალი განათლების დონის, არაურბანულ რეგიონებში მცხოვრებ და შესაბამისად დაბალი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე აივ/შიდსით

ავადმყოფებში მაღალი იყო აქტიური ტუბერკულოზის განვითარების რისკი. კანადაში ჩატარებულმა კვლევამ იმიგრანტებს შორის აჩვენა, რომ დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსი ტუბერკულოზის განვითარების დამოუკიდებელ რისკის ფაქტორს წარმოადგენდა[66].

ჩვენი კვლევის მიხედვით ქალებთან შედარებით მამაკაცები ტუბერკულოზის განვითარების უფრო მაღალი რისკით გამოირჩეოდნენ, რაც დასტურდება სხვა კვლევებითაც[67]. აღნიშნული კორელაცია შეიძლება განპირობებული იყოს ქალებთან შედარებით მამაკაცებში მავნე ჩვევების (თამბაქოს, ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარება) მაღალი სიხშირით და ასევე ზოგიერთი გენეტიკური ფაქტორით[68, 69].

აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში მაღალი იყო C ჰეპატიტის და ღვიძლის ციროზის გავრცელება. 2008 წელს საქართველოში ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა აივ/შიდსით ავადმყოფებში C ჰეპატიტის მაღალი გავრცელება[39].

კვლევის შედეგმა აჩვენა ართ-ზე მყოფ აივ/შიდსით ავადმყოფებში მაღალი სიკვდილობა, რომელიც დაფიქსირდა ართ-ს დაწყებიდან პირველ ოთხ თვეში. ეს აისხნება იმით, რომ ავადმყოფთა უმრავლესობას (68%) აივ/შიდსის დიაგნოზის დასმის მომენტში უკვე იმუნოდეფიციტი (CD4 ლიმფოციტების რიცხვი <350 უჯრედი/მმ^3) ჰქონდათ, რაც მიუთითებს საქართველოში აივ/შიდსის გვიანი გამოვლენის მაღალ სიხშირეზე. ართ-ს პირველ თვეებში აივ/შიდსით ავადმყოფების მაღალი სიკვდილობა საჭიროს ხდის აივ/შიდსის ადრეული გამოვლენის აუცილებლობასა და დროული ართ-ს დაწყებაზე.

საქართველოში მოქმედი აივ/შიდსის და ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამები სრულად იზიარებენ ჯანმო-ს უახლეს რეკომენდაციებს. 2006 წლიდან დანერგილია აღნიშნული პროგრამების წარმატებული კოლაბორაციული აქტივობები, რაც უზრუნველყოფს აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებისთვის

ანტირეტროვირუსული და ანტიტუბერკულოზური მედიკამენტებით უნივერსალურ ხელმისაწვდომობას[70].

ამ პროგრამების წარმატებული განხორციელების მიუხედავად, საჭიროა იმ მექანიზმების გაძლიერება, რომლებიც უზრუნველყოფენ ტუბერკულოზის და აივ/შიდსის დიაგნოსტიკის, მკურნალობის და მოვლის სერვისების ინტეგრირებულ მიწოდებას, რაც უზრუნველყოფს აივ/შიდსის და ტუბერკულოზის ადრეულ გამოვლენას და შესაბამისად ავადობის და სიკვდილობის შემცირებას[71].

შეზღუდული რესურსების მქონე ქვეყნებში ჩატარებულმა არაერთმა ობსერვაციულმა კვლევამ დაადასტურა აივ/შიდსით ავადმყოფებში სიკვდილობის მაღალი მაჩვენებლები[72]. კერძოდ, აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში ტუბერკულოზით გამოწვეული ლეტალობის მაჩვენებელი 16-35%-მდე მერყეობდა, მაშინ როდესაც აივ ნეგატიურ პირებში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 0-4% იყო[73, 74].

აივ/შიდსის და ტუბერკულოზით ავადმყოფებში ტუბერკულოზის დიაგნოზის დასმის მომენტში CD4 ლიმფოციტების დაბალი რიცხვი სიკვდილობის მნიშვნელოვან პრედიქტორს წარმოადგენდა[75]. ართ-ს დანიშვნა კი განაპირობებდა სიკვდილობის დრამატულ (95%-მდე) შემცირებას[76,77,78, 79].

ამის მიუხედავად ჯერ-ჯერობით მსოფლიოში აივ/შიდსის და ტუბერკულოზის ერთდროული მკურნალობის გამოსავლების შესახებ მონაცემები მწირია[80,81,82].

წარმოდგენილი კვლევით პირველად საქართველოში დადასტურდა **ართ-ზე მყოფ აივ/შიდსით ავადმყოფებში გადარჩენის მაჩვენებლების გაუმჯობესება.** კერძოდ, მიღებული იქნა სიკვდილობის თვალსაზრისით სარწმუნო განსხვავება არა ართ ნამკურნალებ ავადმყოფებსა და ართ-ზე მყოფ აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებს შორის. არა ართ ნამკურნალები კოინფიცირებული

ავადმყოფების უმრავლესობა კვდებოდა ტუბერკულოზის მკურნალობის პერიოდში. აქედან გამომდინარე **ართ-ს დროული დაწყება უმნიშვნელოვანესი პირობაა აღნიშნულ პოპულაციაში გადარჩენის მაჩვენებლების გაუმჯობესების თვალსაზრისით.**

მულტივარიაციული რეგრესიის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ართ-ზე მყოფ აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებთან შედარებით **არანამკურნალებ ავადმყოფებს სიკვდილობის რვაჯერ მაღალი რისკი ჰქონდათ.** CD4 ლიმფოციტების რიცხვის პროგრესულ კლებასთან ერთად სიკვდილობის მაჩვენებელი კიდევ უფრო იზრდებოდა .

ტუბერკულოზის მკურნალობას აივ/შიდსით ავადმყოფებში პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. აქტიური ტუბერკულოზის მქონე აივ/შიდსით ავადმყოფებში ართ-ს დაწყების ოპტიმალური დრო მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. ერთდროულად ართ და ანტიტუბერკულოზური მკურნალობა საკმაოდ პრობლემატურია მედიკამენტების ტოქსიურობის, მედიკამენტთა ფარმაკოკინეტიკური ურთიერთქმედების და იმუნური რეკონსტიტუციის სინდრომის (ირს) შესაძლო განვითარების გამო.

გამოქვეყნებულმა შრომებმა დაადასტურეს, რომ ართ-ს ადრეული დაწყება ღრმა იმუნოდეფიციტის მქონე აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციის მქონე ავადმყოფებში მნიშვნელოვნად ამცირებდა სიკვდილობას[20, 83].

არა ართ ნამკურნალებ აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში ართ-ს ადრეული დაწყების შედეგად ირს-ის განვითარების საშიშროების გათვალისწინებით, თავდაპირველად მრავალი ექსპერტი რეკომენდაციას უწევდა ართ-ს დაწყებისგან თავის შეკავებას ანტიტუბერკულოზური მკურნალობის დაწყებიდან 2 თვის განმავლობაში. უახლესმა რანდომიზებულმა კვლევებმა: „SAPIT", "CAMELIA" და „STRIDE" კი ცხადყვეს, რომ ანტიტუბერკულოზური მკურნალობის დაწყებიდან ართ-ს დაუყოვნებლივ დაწყება საგრძნობლად ამცირებდა სიკვდილობას, განსაკუთრებით იმ

აივ/შიდსით ავადმყოფებში, რომლებსაც შორსწასული/ღრმა იმუნოდეფიციტი აღენიშნებოდათ[84,85].

ზემოთაღნიშნული კვლევების შედეგები იძლევა საკმარის საფუძველს, რათა აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში ართ დაწყებულ იქნას დაუყოვნებლივ ანტიტუბერკულოზური მკურნალობის პროცესში. ანტირეტრივირუსული მკურნალობის ჯანმო-ს უახლესი გაიდლაინების მიხედვით, ართ რეკომენდებულია ანტიტუბერკულოზური მკურნალობის დაწყებიდან 2-8 კვირის განმავლობაში[86].

ჩვენი კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში ართ დაწყებულ უნდა იქნას აქტიური ტუბერკულოზის დიაგნოზის დასმიდან 2 თვის პერიოდში. აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში, რომლებსაც ართ დაენიშნა ტუბერკულოზის დიაგნოზის დასმიდან 2 თვის შემდეგ, **ლეტალობის მაჩვენებელი იყო ძალიან მაღალი** (34%, 16/46). სიკვდილობის მაჩვენებლები **სარწმუნოდ განსხვავდებოდა იმ ავადმყოფებში, რომლებსაც ართ დაენიშნათ ტუბერკულოზის დიაგნოზის დადასტურებიდან 6 თვემდე და 6 თვის შემდეგ.** შესაბამისად, დაუყოვნებელი ართ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფების გადარჩენის მაჩვენებლების გაუმჯობესების უმნიშვნელოვანეს პრედიქტორად.

კვლევის შედეგად ასევე პირველად საქართველოში შეფასდა ტუბერკულოზის ინციდენტობა აივ/შიდსის და ქრონიკული C ჰეპატიტის კოინფექციით ავადმყოფებში, რომლებსაც უტარდებოდათ C ჰეპატიტის ანტივირუსული მკურნალობა პეგილირებული ინტერფერონის და რიბავირინის კომბინაციით. შედეგებმა ცხადყო, რომ ტუბერკულოზის განვითარება აუარესებს ზემოთაღნიშნული პოპულაციაში C ჰეპატიტით ავადმყოფთა მკურნალობის გამოსავლებს.

ჩვენს კვლევაში C ჰეპატიტის ანტივირუსულ მკურნალობაზე მყოფ ავადმყოფებში **ტუბერკულოზის ინციდენტობამ შეადგინა 1.4 შემთხვევა 100 პაციენტზე წელიწადში (95% CI=0.58-2.97)**, რაც აღემატება ესპანეთში ჩატარებული მსგავსი კვლევის - პეგილირებული ინტერფერონის და რიბავირინის კომბინაციით HCV ანტივირუსულ მკურნალობაზე მყოფ აივ/შიდსის და C ჰეპატიტით ავადმყოფებში ტუბერკულოზის ინციდენტობის მაჩვენებელს (0.7 შემთხვევა 100 პაციენტზე წელიწადში [95% CI=0.19-1.78] [55].

ტუბერკულოზის ასეთი მაღალი ინსიდენტობა HCV ანტივირუსულ მკურნალობაზე მყოფ ავადმყოფებში შეიძლება აიხსნას საქართველოში ტუბერკულოზის მაღალი გავრცელებით და ასევე ტუბერკულოზის განვითარების მომატებული რისკით იმუნოკომპრომეტირებულ პირებში. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი კვლევის შედეგად მიღებული ტუბერკულოზის ინსიდენტობა აივ/შიდსის და C ჰეპატიტის კოინფექციით ავადმყოფებში ჩამოუვარდებოდა ესპანეთის 10 ჰოსპიტალში ჩატარებული მულტიცენტრული კვლევის შედეგად მიღებულ ტუბერკულოზის ინსიდენტობის მაჩვენებელს (4.7 შემთხვევა 100 პაციენტზე წელიწადში [95% CI= 3.94–5.59]) ართ-ზე არ მყოფ ავადმყოფებში[87].

ჩვენ დავადგინეთ, რომ ტუბერკულოზის ექვსი ინსიდენტური შემთხვევიდან სამ ავადმყოფს C ჰეპატიტის ანტივირუსული მკურნალობის დაწყებამდე დადგენილი ჰქონდათ ლატენტური ტუბერკულოზის დიაგნოზი (ტუბერკულინის კანის ტესტით) და შესაბამისად ჩატარებული ჰქონდათ იზონიაზიდით პროფილაქტიკური მკურნალობა. თუმცა, აღნიშნული პროფილაქტიკური მკურნალობის ჩატარება ვერ იძლევა ტუბერკულოზის განვითარების თავიდან აცილების სრულ გარანტიას C ჰეპატიტის ანტივირუსული მკურნალობის პროცესში, რაც დადასტურებულია სხვადასხვა კვლევით[55].

ლატენტური ტუბერკულოზის ადრეული გამოვლენა და მკურნალობა ჯანმოს ე.წ. „Three I's" პროგრამის - იზონიაზიდით პროფილაქტიკური მკურნალობა, აქტიური ტუბერკულოზის ინტენსიური გამოვლენა და ტუბერკულოზის კონტროლი ძირითადი

კომპონენტია და წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელოვან სტრატეგიას აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფების გამოსავლების გაუმჯობესების თვალსაზრისით [88-90].

ტუბერკულოზის მაღალი პრევალენტობის ქვეყნებში ლატენტური ტუბერკულოზის მკურნალობის ხანგრძლივი სარგებელის თაობაზე ლიტერატურის სიმწირის გათვალისწინებით ოპტიმალური სტრატეგიების შემუშავების მიზნით საჭიროა დამატებითი კვლევების ჩატარება.

როგორც ჩვენი კვლევის შედეგებმა ცხადყო, სამ ავადმყოფს, რომლებსაც ტუბერკულოზი განუვითარდა C ჰეპატიტის ანტივირუსული მკურნალობისას, ჩატარებული ჰქონდა იზონიაზიდით პროფილაქტიკური მკურნალობა რამოდენიმე წლით ადრე. **შესაბამისად აივ/შიდსის და C ჰეპატიტის კოინფექციით ავადმყოფებში C ჰეპატიტის ინტერფერონის შემცველი რეჟიმებით ანტივირუსული მკურნალობის დანიშვნის დროს იზონიაზიდით პროფილაქტიკური მკურნალობის დაწყება მიზანშეწონილია ტუბერკულოზის რეაქტივაციის რისკის თავიდან აცილების თვალსაზრისით.** ეს ყოველივე ხელს შეუწყობს აივ/შიდსის და C ჰეპატიტის კოინფექციით ავადმყოფების წარმატებულ ანტივირუსულ მკურნალობას და შესაბამისად მოგვცემს მკურნალობის სახარბიელო გამოსავლებს.

დასკვნები და რეკომენდაციები

წარმოდგენილი შრომის სპეციფიური დასკვნები შემდეგია:

- აივ/შიდსით ავადმყოფების დიდ ნაწილს პირველი კლინიკური ვიზიტისას აღენიშნებოდა აქტიური ტუბერკულოზი და/ან სხვა ოპორტუნისტული ინფექციები.

- აივ/შიდსის დიაგნოზის დასმის მომენტში აივ/შიდსით ავადმყოფების თითქმის ნახევარს უკვე გამოხატული ჰქონდა შორსწასული აივ ინფექცია, რაც მიუთითებს ქვეყანაში აივ/შიდსის გვიან გამოვლენაზე. აივ/შიდსის მოგვიანებით სტადიაზე დიაგნოსტირება კი ხელს უწყობს აივ/შიდსის შემდგომ გავრცელებას და ამცირებს წარმატებული მკურნალობის შანსებს.

- აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში მაღალი იყო C ჰეპატიტის და ღვიძლის ციროზის პრევალენტობა, რაც თავის მხრივ სიკვდილობის ერთ-ერთ ძირითად პრედიქტორს წარმოადგენდა.

- აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში სიკვდილობის მნიშვნელოვან დეტერმინანტს პირველი კლინიკური ვიზიტისას დაბალი CD4 ლიმფოციტების რაოდენობა წარმოადგენდა.

- ტუბერკულოზის დიაგნოზის დასმიდან ადრეული (დაუყოვნებელი) ართ-ს დაწყება მნიშვნელოვნად აუმჯობესებდა აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფების გადარჩენის მაჩვენებლებს.

- ტუბერკულოზის განვითარება ართულებს აივ/შიდსის და C ჰეპატიტის კოინფექციით ავადმყოფებში C ჰეპატიტის ანტივირუსული მკურნალობის გამოსავლებს.

მიღებული შედეგების საფუძველზე შემუშავდა პრაქტიკული ღონისძებები, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოში აივ/შიდსით ავადმყოფების კლინიკური გამოსავლების გაუმჯობესებას.

აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში სიკვდილობის შემცირების მისაღწევად:

1. საჭიროა აივ/შიდსის და ტუბერკულოზის ინტეგრირებული სერვისების მიწოდების მექანიზმების გაძლიერება. კერძოდ, ტუბერკულოზის შემთხვევების ინტენსიური მოძიება აივ/შიდსით ავადმყოფებში და ანტიტუბერკულოზური და არვ თერაპიის დაწყების უზრუნველყოფა.

2. ართ-ს უნივერსალური ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ინფექციის ადრეულ გამოვლენას და ადრეულ მკურნალობას. ადრეული გამოვლენის გაუმჯობესება შესაძლებელია შემდეგი გზებით: მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფებში აივ კონსულტირებისა და ტესტირების გაუმჯობესება თემზე დაფუძნებული სერვისების მეშვეობით; ქვეყნის მასშტაბით სამედიცინო დაწესებულებებში პროვაიდერის მიერ ინიცირებული აივ ტესტირების გაფართოება და სხვ.

3. ბიომარკერისა და ქცევაზე ზედამხედველობის კვლევების მეშვეობით უნდა მოხდეს მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფებზე რეგულარული მონიტორინგი და საყურადღებო ტენდენციების შესწავლა.

4. აივ/შიდსის შემთხვევების დროული გამოვლენა ტუბერკულოზით ავადმყოფებში:
   - აივ/შიდსზე კონსულტირებისა და ტესტირების გაუმჯობესება
   - აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებში ართ მიწოდების უზრუნველყოფა

5. არვ თერაპია უნდა დაენიშნოს ყველა აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით, მათ შორის მულტირეზისტენტული ტუბერკულოზით ავადმყოფს მიუხედავად იმუნური სტატუსისა (CD4 ლიმფოციტების მაჩვენებლის მიუხედავად)

6. ართ დაწყებულ უნდა იქნას ტუბერკულოზის დიაგნოზის დასმიდან რაც შეიძლება მალე - არაუგვიანეს 8 კვირის ფარგლებში.

7. ღრმა იმუნოსუპრესიის მქონე (CD4-ის მაჩვენებელი <50 მმ3) აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კოინფექციით ავადმყოფებს ართ უნდა დაეწყოთ დაუყოვნებლივ ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობის დაწყებიდან პირველი 2 კვირის განმავლობაში.

